გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

60 თეთრი

№121 (1147) 27 – 29 ნოემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

წამლები განვადებით – ახალი საკრედიტო მახე მოქალაქეებისთვის

უცნობის მოთხოვნით, „მაესტროზე" აუდიტი შევიდა

მაესტრო

მაკა ასათიანის ვალების წარმომადგენლობას ამერიკული კომპანია შეისწავლის

გვ. 3

გიორგი თარგამაძე პრესასთან სამწლიან დუმილს არღვევს

რატომ დაეშალა პარტია, დაბრუნდება თუ არა პოლიტიკაში და როგორ აფასებს პროცესებს ქდმ-ს ყოფილი ლიდერი

გვ. 5–6

რეალურად ვინ დგას „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის" უკან?

გვ. 6

ნინო გიორგობიანი: „ტერორიზმის საფრთხის დონე ჩვენს ქვეყანაში მაღალი არ არის"

თიბისი ბანკის დაფინანსებით, ახალი ფარმაცევტული საწარმო გაიხსნა

თიბისი ბანკი
TBC BANK

„აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, „ინოვასის" გახსნა ბანკს 2 მილიონი დოლარი დაუჯდა

გვ. 2

სააკაშვილს უკრაინაში დაიჭერენ?

პეტრო პოროშენკოს თანაგუნდელმა, ოდესის გუბერნატორი კორუფციაში დაადანაშაულა

გვ. 3

პირველად საქართველოში „გალტ&თაგარტი", „საქსო ბანკთან" ერთად, მომხმარებელს ონლაინტრეიდინგის პლატფორმას სთავაზობს

გალტ&თაგარტი

ვქმნით შესაძლებლობებს

გვ. 7

„ტერორიზმის საფრთხის დონე ჩვენს ქვეყანაში მაღალი არ არის“

ეს განცხადება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, ნინო გიორგობიანმა გააკეთა. მისივე თქმით, ზოგადად, მსოფლიოში დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რისკები ყველგან მომატებულია: **„აქედან გამომდინარე, გაზრდილია უსაფრთხოების დაცვის ზომები. არსებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე, ტერორიზმის საფრთხის დონე, ჩვენს ქვეყანაში მაღალი არ არის. თუმცა მსოფლიო და რეგიონულ კონტექსტში, რისკების გამორიცხვა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. შესაბამისად, ტერორიზმის საფრთხესთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური შესაბამის რეაგირებას ახდენს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაწყებულია გამოძიება ყველა კონკრეტულ შემთხვევაზე, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ქვეყნის უსაფრთხოებასთან. მობილიზებულია ყველა შესაბამისი დეპარტამენტი, რათა მოხდეს საფრთხეების მაქსიმალური პრევენცია“.**

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის განმარტებით, აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა ჩვენი პარტნიორი ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით აქტიურად ტარდება პრევენციული ზომები საქართველოს საზღვრებზე.

„ვერსიანიუსი“

„ისლამური სახელმწიფოს“ ახალ სამიზნეებს შორის საქართველო არ არის

„ისლამური სახელმწიფოს“ მიერ გავრცელებულ ახალ ვიდეოში ჩამოთვლილ სამიზნე ქვეყნებს შორის, რომლებსაც ბოევიკები ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლის გამო, ემუქრებიან, საქართველო არ შედის.

ვიდეოში 60 ქვეყნის დროშაა ნაჩვენები, რომლებიც ტერორისტების სამიზნე გახდნენ.

ვიდეოში საუბარია, რომ ამერიკა ირანთან, რუსეთთან და თურქეთთან ერთად, „ეშმაკის კოალიციაში“ გაერთიანდნენ.

სამიზნე ქვეყნებს შორის მოხვდნენ ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, თურქეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, რუსეთი, პოლონეთი. „ისლამურმა სახელმწიფომ“ ასევე მიზანში ამოიღო უკრაინა და ბალტიის ქვეყნების დიდი ნაწილიც.

„პია“

იტალიამ ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა

იტალიაში საქართველოს ელჩის, კახა სიხარულიძის განმარტებით, იტალიის სენატმა ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა.

კახა სიხარულიძის თქმით, აღნიშნულით ყველა პროცედურა დასრულებულია: **„მანამდე მოხდა დეპუტატთა პალატაში ამ საკითხის განხილვა. სენატმა დაამტკიცა დოკუმენტი. ამით ყველა პროცედურა დასრულებულია. ვულოცავ საქართველოს“.**

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება სულ, ევროკავშირის 28 სახელმწიფომ უნდა მოახდინოს. 27 ქვეყნის პარლამენტმა და ევროპარლამენტმა უკვე მოახდინა რატიფიცირება. დოკუმენტის რატიფიცირება მხოლოდ ბელგიას არ მოუხდენია.

„პია“

შს მინისტრმა მომსახურების სააგენტოს ახალი დირექტორი წარადგინა

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა შსს-ს მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს ახალი დირექტორი დათო ნიკოლეიშვილი წარუდგინა.

გიორგი მღებრიშვილმა დათო ნიკოლეიშვილს თანამდებობაზე დანიშვნა პირადად მიულოცა, მასთან სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილა და დავალებები მისცა.

შს მინისტრმა, სააგენტოს ახალ ხელმძღვანელთან ერთად, მომსახურების სააგენტო დაათვალიერა და არსებულ სერვისებს გაეცნო.

მომსახურების სააგენტოს ახალმა დირექტორმა შს მინისტრს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა. დათო ნიკოლეიშვილმა აღნიშნა, რომ კიდევ უფრო განავითარებს სააგენტოს, დანერგავს ინოვაციებს და საზოგადოებას მაღალი ხარისხის, დასავლური სტანდარტების სერვისებს შესთავაზებს.

„ვერსიანიუსი“

თიბისი ბანკის დაფინანსებით, ახალი ფარმაცევტული საწარმო გაიხსნა

25 ნოემბერს, თბილისში, ლილოს დასახლებაში, უახლესი სტანდარტების ქართული ფარმაცევტული საწარმო „ინოვასი“ გაიხსნა. ეს საწარმო თიბისი ბანკმა, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ , 2 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსა. „ინოვასი“ პირველი ფარმაცევტული საწარმო იქნება ბაზარზე, რომელიც ქართული ფლორის სამკურნალო პოტენციალს გამოიყენებს. „ინოვასის“ გახსნას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, თბილისის მერი დავით ნარმანია და თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე დაესწრნენ.

„აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, „ინოვასის“ გახსნა ბანკს 2 მილიონი დოლარი დაუჯდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“ ფინანსური მხარდაჭერით, საწარმო „ინოვასი“ წარმოების მაღალი ხარისხით, ინოვაციურობითა და წარმოებული პროდუქციის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საწარმო „ინოვასი“ საქმიანობას საერთაშორისო სტანდარტების დაცვით განახორციელებს. ამ მიზნით, კომპანია უკვე ემზადება GMP/HASP/ISO სერტიფიცირებისთვის.

პრემიერ-მინისტრის, **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, ახალი საწარმო ხელს შეუწყობს მედიკამენტების გაიაფებას, მრავალპროფილური წარმოების ხარჯზე კი „ინოვასი“ მომხმარებლებს ახალ მედიკამენტებსაც შესთავაზებს: **„რაც მთავარია, პირველად საქართველოში, ქვეყნის მდიდარი სამკურნალო ფლორის პოტენციალის ათვისება და მისი საექსპორტოდ გადამუშავება დაიწყება. ამ ეტაპზე, „ინოვასი“ 40-მდე დასახელების მცენარის გადამუშავებას და 60-მდე აქტიური ნივთირების წარმოებას შეძლებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ საწარმოში 50-დან 100-მდე ადამიანი დასაქმდება“.**

ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა თიბისი ბანკის გენერალურ დირექტორს, ვახტანგ ბუცხრიკიძეს, რომელმაც „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ახალი საწარმოს დასაფინანსებლად 2 მილიონი აშშ დოლარი გამოყო. „ინოვასის“ გენერალური დირექტორის, **დავით ებრალიძის** განცხადებით, ეს საწარმო საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარს ქართული საოჯახო რეცეპტებით, თანამედროვე სტანდარტებით წარმოებულ პროდუქციას შემატებს. შესაბამისად, საოჯახო რეცეპტების სამეცნიერო დონეზე დამუშავება და ამ რეცეპტებით მომზადებული მედიკამენტების სერიული წარმოება დაიწყება: **„აღსანიშნავია, რომ „ინოვასი“ პირველი ფარმაცევტული საწარმო იქნება რეგიონში, რომელიც „კონტრაქტული წარმოების“ პრინციპით იმუშავებს. როგორც კომპანიაში განმარტეს, „კონტრაქტული წარმოება“ იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ქვეყნიდან დამკვეთს შესაძლებლობა ექნება, რათა თავისი ტექნოლოგიითა და შეფუთვით შეუკვეთოს და მიიღოს შესაბამისი მედიკამენტები. წარმოების პროცესში, „ინოვასში“ მუდმივად დასაქმდება 100-მდე ადამიანი. სეზონურად კი, მცენარეული ნედლეულის მოპოვების პროცესში, საქართველოს რეგიონების მასშტაბით, დასაქმებულთა რაოდენობა 2 000-მდე გაიზრდება“.**

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის, **ვახტანგ ბუცხრიკიძის** განცხადებით, საწარმო „ინოვასი“ სრულად აკმაყოფილებს თამაედროვე ფარმაცევტული საწარმოს ყველა სტანდარტს. მისი თქმით, ამ საწარმოს გახსნა საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის განვითარებას ხელს შეუწყობს:

„მოხარულები ვართ, რომ შესაძლებლობა გვაქვს, ადგილობრივი წარმოების აქტიური მხარდამჭერები ვიყოთ. დიდი ხანია, რაც თიბისი ბანკი აქტიურადაა ჩართული სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ და მეწარმეობის სააგენტოსთან ერთად, არაერთი წარმატებული პროექტი განვახორციელეთ. ახლა კი საწარმო „ინოვასის“ დაფინანსებით, ჩვენი წვლილი შევიტანეთ ქართული წარმოების წახალისებაში“.

ვახტანგ ბუცხრიკიძის განცხადებით, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, თიბისი ბანკმა უკვე დააფინანსა ისეთი დარგები, როგორებიცაა ჯანდაცვა, წარმოება, მშენებლობა, მომსახურება, ბუნებრივი რესურსები. მისივე თქმით, ამ პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა კომპანიების დასაფინანსებლად, თიბისი ბანკმა ჯამში, 27 000 000 ლარის რესურსი გასცა.

თბილისის მერის, **დავით ნარმანიას** განცხადებით, საწარმო „ინოვასის“ გახსნას დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი თქმით, იმის გამო, რომ „ინოვასი“ თბილისში მდებარეობს, გადასახადების სახით, ამ საწარმოდან დედაქალაქის ბიუჯეტი დამატებით შემოსავლებს მიიღებს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, **დიმიტრი ქუმსიშვილმა** აღნიშნა, რომ დღევანდელი მონაცემებით, სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, 123 საწარმო შეიქმნა, რისთვისაც 327 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა. მისი თქმით, ამ საწარმოებში დაახლოებით, 7 000 ადამიანია დასაქმებული. ამ 123 საწარმოდან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“ ხელშეწყობით, 72 საწარმო შეიქმნა, რისთვისაც 180 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა.

მაია მიშელაძე

უცნობის მოთხოვნით, „მაესტროზე“ აუდიტი შევიდა

მაკა ასათიანის ვაღების წარმომავლობას ამერიკული კომპანია შეისწავლის

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ორიოდ დღის წინ, სააპელაციო სასამართლომ „მაესტროს“ გაკოტრების საქმე განსახილველად საქალაქო სასამართლოს დაუბრუნა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქალაქო სასამართლომ მხარეთა წინადადებები ხელახლა უნდა მოისმინოს და არხის გაკოტრებულად გამოცხადების გადაწყვეტილებას გადახედოს. თუ „რუსთავი 2“-ის საქმის პრეცედენტს გავიხსენებთ, როცა თამაზ ურთმელიძემ საკუთარი გადაწყვეტილება შეცვალა, შესაძლოა, „მაესტროს“ საქმის მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილმაც შეაჩეროს არხის გაკოტრების პროცესი. ნებისმიერ შემთხვევაში, „უცნობმა“ დავის პირველი რაუნდი მოიგო — მეტიც, „ვერსიისთვის“ მისი ადვოკატის მიერ მიწოდებული ექსკლუზიური ინფორმაციით, არხზე მაკა ასათიანის საქმიანობისა და მის მიერ აღებული ვალების შესასწავლად აუდიტი შევიდა!

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას თავად გია გაჩეჩილაძეც გამოეხმაურა. მისი თქმით, სასამართლომ მეორე მხარეს მისი წინადადების მოსმენისა და „მაესტროს“ გაკოტრებისგან გადარჩენის ალტერნატიული გეგმის შემუშავებისკენ მოუწოდა. ეს ალტერნატივა კი „უცნობმა“ პარტნიორებსა და ალბათ, უკვე ყოფილ მეგობრებს თავად შესთავაზა — რამდენიმე თვის წინ, გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ შეეძლო ინვესტორის მოყვანა, რომელიც არხის ფეხზე დაყენებისთვის 10 მილიონ დოლარს გაიღებდა. როგორც „ვერსიისთვის“ გახდა ცნობილი, ნოემბრის შუა რიცხვებში, დაახლოებით ორი კვირის წინ, „უცნობის“ ინიციატივით, „მაესტროში“ პარტნიორების კრება ჩატარდა, სადაც გიას მისი ძმა, ლევან გაჩეჩილაძე წარმოადგენდა, დანარჩენ მეწილეებს კი გიორგი გვენეტაძე. კრებაზე ყველა შეთანხმდა, რომ ყველა მეწილემ, ერთთვიანი ვადის განმავლობაში, ერთმანეთთან აქტიური მოლაპარაკებები უნდა აწარმოოს. აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ შეთანხმებაზე მზადყოფნა მამუკა ღლონტმა და კოტე გოგელიამაც გამოთქვეს. ეს ინფორმაცია „უცნობის“ ადვოკატმა, **ირაკლი კორძახიამ** მოგვაწოდა, რომელიც იმედოვნებს, რომ მხარეები რეალურ მოლაპარაკებას დაიწყებენ. პარტნიორების აზრის საბოლოო შეცვლა კი, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული: **„ჩვენი საქმე საქალაქო სასამართლოში დაბრუნდა. ახლა მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილმა თავიდან უნდა იმსჯელოს, აქვს თუ არა არხის დირექტორს უფლება, „მაესტროს“ გაკოტრება მოითხოვოს. ამ წუთას, „მაესტრო“ გაკოტრებული არ არის. იმედი გვაქვს, მოსამართლე დირექტორს უარს ეტყვის არხის გაკოტრებაზე, რის შემდეგაც, გაკოტრების ხელახლა მოთხოვნის უფლება მათ 3 თვე აღარ აქვთ, ხოლო ამ სამი თვის განმავლობაში, პარტნიორებს შორის მოლაპარაკება შედგება. შეიცვლიან თუ არა აზრს პარტნიორები, ეს სასამართლოს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ეჭვი მეპარება, გაკოტრების გადაწყვეტილება ძალაში დარჩეს, რადგან აპელაციას საკმაოდ მკაცრი მითითებები ჰქონდა. თუ გაკოტრება მაინც გაგრძელდება, ალბათ, პარტნიორები მოლაპარაკებაზე არ წამოვლენ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ უარი თქვა არხის გაკოტრებაზე, მაშინ, ალბათ, აზრს პარტნიორებიც შეიცვლიან და ეს მოლაპარაკებები უფრო გახსნილი იქნება. ფაქტია, მათი მენეჯმენტის პირობებში, „მაესტრო“ წამგებიანი კომპანიაა. ჩვენ კი ვთავაზობთ, არხი მართვაში გია გაჩეჩილაძეს გადაეცეს, რომელიც ამ კომპანიის მოგებაზე გასვლას უზრუნველყოფს“.**

„უცნობის“ ადვოკატი კიდევ ერთ ექსკლუზიურ ინფორმაციას გვიმხელს. რამდენიმე კვირის წინ, ირაკლი კორძახიამ სწორედ ჩვენთან ინტერვიუში გაახმოვანა, რომ „უცნობს“ „მაესტროზე“ ცნობილი „დიდი ოთხეულიდან“ რომელიმე კერძო აუდიტორული კომპანიის შესვლა და არხის ფინანსების დამოუკიდებლად შესწავლა სურდა. მაშინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ „უცნობის“ მხარეს, არხის ამჟამინდელი დირექტორი, ბაია გადაბაძე ინფორმაციასა და ფინანსურ დოკუმენტაციას არ აძლევდა. თუმცა გია გაჩეჩილაძემ მსოფლიო მასშტაბით მეხუთე, ამერიკული კერძო აუდიტორული კომპანია, „ბი დი ოუ“ (BDO) დაიქირავა, რომელიც არხზე უკვე შესულია და მის დასკვნაზე „მაესტროს“ ბედი დიდწილად იქნება დამოკიდებული:

> **„საერთაშორისო რეპუტაციის მქონე კერძო აუდიტორული კომპანია „მაესტროზე“ უკვე შესულია. იგი იმ ვალების წარმომავლობას შეისწავლის, რაზეც მაკა ასათიანი საუბრობდა. ჩვენი ინფორმაციით, ეს ვალი იმხელა სულაც არაა, რაც „მაესტროზე“ ასათიანის მიერ დანიშნულ მენეჯმენტს აქვს აღიარებული. ველით, რომ დასკვნა დაახლოებით ერთ კვირაში დაიდება და იგი გავლენას არა მხოლოდ სასამართლო პროცესზე, არამედ მხარეთა მოლაპარაკებებზეც იქონიებს. ამ**

> **დასკვნით დადასტურდება, რომ რამდენიმე ათეული მილიონობით ლარის სესხი, რომლის არსებობაში ეჭვი გვეპარება, რეალურად, „მაესტროს“ არ აქვს“.**

ცხადია, ძალაში რჩება „უცნობის“ შეთავაზება, „მაესტროზე“ 10 მილიონი დოლარის საბანკო გარანტიის მიტანის შესახებ. თუმცა გაჩეჩილაძეს, ამ დრომდე, მისი დამფინანსებლის ვინაობა არ დაუსახელებია. როგორც „ვერსიისთვის“ გახდა ცნობილი, ეს ბურუსითმოცული ინვესტორი შესაძლოა, მსოფლიო ბანი, პაატა ბურჭულაძე იყოს, რომელიც, სავარაუდოდ, პოლიტიკაში წინასაარჩევნოდ მოგვევლინება. ამ დროისთვის, მას „საქართველოს განვითარების ფონდის“ შექმნა აქვს დაანონსებული. ამ ფონდის რიგებში კი, სხვა რამდენიმე ბიზნესმენთან ერთად, ლევან გაჩეჩილაძის კლასელი, მეგობარი, საქართველოში „ტოიოტას“ წარმომადგენლობის პრეზიდენტი ირაკლი გურჩიანიცაა. თუკი ბურჭულაძე პოლიტიკაში მოსვლას მართლაც აპირებს, ლოგიკურად, „თავისი ტელევიზიაც“ დასჭირდება — რატომ არ შეიძლება, ეს ტელევიზია „მაესტრო“ იყოს, ბურჭულაძე კი ძალიან პოპულარულ და „მომგებიან“ ფიგურებთან, ძმებ გაჩეჩილაძეებთან ერთად მოგვევლინოს? ამ ინფორმაციას „უცნობის“ ადვოკატი **ირაკლი კორძახია** არ ადასტურებს. მისი თქმით, „უცნობის“ მიერ ნახსენები 10 მილიონი ბურჭულაძის მხრიდან არ მოდის: **„მესმის, შეიძლება ეს კარგი ვერსიაა, მაგრამ ეს ინვესტორი ნამდვილად არ არის ბურჭულაძე, არც — გურჩიანი. თუმცა თუკი პარტნიორებს შორის მოლაპარაკება დაიწყება და რაღაც ეტაპამდე მივა, გია გაჩეჩილაძე ინვესტორის ვინაობას საჯაროდ დაასახელებს“.**

და კიდევ ერთი — „მაესტროს“ გასხვისებული ლოგოს თემაზე წინ მორიგი საჩივარი აქვს. როგორც ირაკლი კორძახია აცხადებს, ლოგოს გასხვისება, პარტნიორთა კრებაზე, გია გაჩეჩილაძის გარდა, ყველამ მოიწონა. გაჩეჩილაძე ამ გადაწყვეტილების მის გარეშე მიღებასაც სასამართლოში გაასაჩივრებს: **„მიგვაჩნია, რომ ჩვენს გარეშე ამ გადაწყვეტილების მიღების უფლება არხის 75%-იანი წილის მფლობელებს არ ჰქონდათ. ასე რომ, ამის გასაჩივრებასაც ვგეგმავთ. ეს საკითხი არხის ხელოვნური გაკოტრების საქმეს პირდაპირ არ ეხება, მაგრამ რომელი უფრო სოლიდურად და უკეთ გამოიყურება — ლოგოიანი, ბრენდიანი არხი თუ კომპანია ბრენდის გარეშე? იმედი გვაქვს, ამ კუთხითაც წარმატებას მივაღწევთ“.**

სააკაშვილს უკრაინაში დაიჭერენ?

პეტრო პოროშენკოს თანაგუნდელმა ოდესის გუბერნატორი კორუფციაში დაადანაშაულა

ბათო ჯაფარიძე

> **როცა მიხეილ სააკაშვილი ოდესის გუბერნატორად დაინიშნა, საქართველოში მაშინვე ითქვა, უკრაინელები მას ცხრა წელი არ დააცდიან და არ დაიწყებენ იმის ლოდინს, როდის დახვრეტს ხალხს ქუჩაში მის მიერ აწყობილი სტრუქტურაო. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ეს ახდა — თუ აქამდე სააკაშვილს „მხოლოდ“ ოპოზიცია და ქვეყნის პრემიერი აკრიტიკებდა, ახლა მას პრეზიდენტის, პეტრო პოროშენკოს გუნდის წევრი აკრიტიკებს. თუმცა, კრიტიკაცაა და კრიტიკაც — დიმიტრი გოლუბევმა სააკაშვილი კორუფციაში დაადანაშაულა.**

მისი ინფორმაციით, ქართულმა ჰაკერულმა ჯგუფმა სახელწოდებით „ხინკალი“, გუბერნატორის მრჩევლის, თეიმურაზ ნიშნიანიძის Facebook გვერდი გატეხა და მონაცემები გოლუბევს ხელში ჩაუვარდა. სწორედ ამ მონაცემებით ირკვევა, რომ სააკაშვილი სერიოზულ კორუფციულ ქაობშია ჩაფლული.

„ცოტა ხნის წინ, იმ ფონდის თანხები, რომელიც ანტიტერორისტული ოპერაციის საჭიროებებს უნდა მოხმარებოდა, რამდენიმე ცენტრალურ არხზე მისი გუნდის საარჩევნო კამპანიის რგოლის ტრანსლირებაში დაიხარჯა. უკრაინაში საქართველოს ყოფილი გენერალური კონსული ნიშნიანიძე, მიმდინარე წლის ზაფხულში, სათავეში ჩაუდგა ფონდს „ოდესის საკეთილდღეოდ“. ჰაკერებმა მოიპოვეს მონაცემები ავტომობილების შეძენაზე, რომლითაც ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწეები დადიან. სააკაშვილის მტკიცებით, ეს მანქანები, ოფიციალურად შეიძინეს პოლიციისთვის, თუმცა ჩვენი მონაცემებით, სამართალდამცავ ორგანოებში ისინი არ მიუღიათ. არსებობს ათეულობით მოწმე, რომლებმაც ავტომობილები ადმინისტრაციის ეზოში დაინახეს. ვფიქრობ, შეეცდებიან, ეს მანქანები ძველი თარიღით გაუფორმონ მილიციელებს“, — განაცხადა სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე დეპუტატმა.

გარდა ამისა, დეპუტატ გოლუბევის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ფონდიდან გამოიყო 111 ათასი უკრაინული გრივნა, რომელიც სასტუმრო „ბრისტოლის“ რესტორანში ძვირადღირებულ ფურშეტებზე დაიხარჯა: **„გუბერნატორი გვიმტკიცებს, რომ მანქანები სპეცრაზმებისთვის შეიძინეს, ხოლო თანხები, რომლითაც ფურშეტის ღირებულება გადაიხადეს, ეს 30-გრივნიანი სადილებია ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის. რომელიმე თქვენგანს უსადილია „ბრისტოლში“, სადაც წვნიანი 300 გრივნა ღირს? ერთი სადილი რამდენიმე ათასი გრივნა ჯდება. ჩვენს ხელთ ასევე არის სააკაშვილის ქართველი კოლეგებისთვის გადახდილი თვითმფრინავის ბილეთების საფასური. კერძოდ, გუბერნატორის დაცვის წევრის მგზავრობა მეგობართან ერთად. „საქველმოქმედო ფულით“ ბილეთების შეძენით ისარგებლა საქართველოს ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა და ოდესის ოლქის მილიციის უფროსმა გიორგი ლორთქიფანიძემ. ხოლო არც ისე დიდი ხნის წინ, სააკაშვილმა რომი-ოდესის რეისის ფრენის ღირებულება სტამბოლის გავლით, ქართველ მომღერალ სოფო ნიჟარაძეს გადაუხადა, ამასთან, ამის შემდეგ გუბერნატორმა კიდევ ერთხელ დაპატიჟა მომღერალი და მას თვითმფრინავით თბილისიდან გამოფრენის საფასურიც გადაუხადა“.**

ყველაზე დიდი თანხა, 3 მილიონი გრივნა, სატელევიზიო რგოლებზე დაიხარჯა, რომელიც გუბერნატორის თანაგუნდელებს ეძღვნებოდა. **„ოდესის გუბერნატორის პრესსამსახურში განაცხადეს, რომ რგოლი სოციალურია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს სუფთა პოლიტიკური, კომერციული რეკლამაა. იქ არაფერია სოციალური იდეის მსგავსი. არაა საჭირო მედიაექსპერტობა იმის მისახვედრად, რომ სოციალურ რეკლამას უფასოდ აჩვენებენ“,** — განაცხადა გოლუბოვმა.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ გოლუბევი ამ საკითხთან დაკავშირებით, სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვას ამზადებს.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

კორუფციული სქემები ყურძნის სუბსიდირების პოლიტიკაში

რომან გოცირიძე „ვერსიას“ სკანდალურ ფაქტებს უმხელს — რატომ დაიჭირეს „ბარაქას“ დირექტორი

რამდენიმე დღის წინ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სახელმწიფოს კუთვნილი თანხის თაღლითურად დაუფლების მცდელობის ფაქტზე, შპს „ბარაქას“ დირექტორი ამირან ზურაბაშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. გამოძიებით დადგინდა, 2015 წლის რთვლის მიმდინარეობის პერიოდში, ბრალდებული ამირან ზურაბაშვილი, დიდი ოდენობით მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მოქალაქეებისგან იბარებდა ყურძენს და მიღება-ჩაბარების აქტებში თვითნებურად უთითებდა ჩაბარებული ყურძნის გაზრდილ რაოდენობას, რითაც მოქალაქეებზე გასაცემი სახელმწიფო სუბსიდიის ოდენობას ზრდიდა. რთვლის პროცესში, ყურძნის სახელმწიფო სუბსიდიაზე „ვერსიაში“ ვრცლად უკვე ვწერდით. აღვნიშნეთ, რომ მევენახეობის დარგის განსავითარებლად, სუბსიდია დროებით ხასიათს ატარებს, რადგან ადრე თუ გვიან, ყურძნის ფასი ბაზარმა უნდა დაარეგულიროს. გარდა ამისა, სუბსიდირების პროცესს ბევრი ხარვეზი ახლავს, მაგრამ შპს „ბარაქას“ მაგალითი თაღლითობის ფაქტს ამტკიცებს. „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძემ, „რთველი — 2015“-ის დაწყებამდე, „ვერსიას“ დეტალურად აუხსნა, რომ სახელმწიფო სუბსიდირება ხელისუფლების მანკიერი პოლიტიკაა, რომელიც სათავეს საბჭოთა პერიოდიდან იღებს. რას ნიშნავს შპს „ბარაქას“ დირექტორის დაჭერა და რეალურად, რასთან გვაქვს საქმე? „ვერსია“ რომან გოცირიძეს კიდევ ერთხელ დაუკავშირდა.

— ბატონო რომან, თქვენი პროგნოზი, რომ სახელმწიფო სუბსიდია კორუფციის შემცველია, გამართლდა. რას ნიშნავს შპს „ბარაქას“ დირექტორის დაკავება, რეალურად რასთან გვაქვს საქმე?

— ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ქმედებას დადებითად ვაფასებ, მაგრამ ვურჩევ, რთვლის პროცესში სახელმწიფო სუბსიდირების საკითხი კარგად შეისწავლონ. რაც შეეხება შპს „ბარაქას“ დირექტორს, არ მინდა უდანაშაულობის პრეზუმპცია დავარღვიო, მაგრამ თქვენ კარგად იცით ჩემი პოზიცია სახელმწიფო სუბსიდირებაზე. მექანიზმი, რომელიც დღეს სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამის სახით ხორციელდება, ეკონომიკურად უეფექტო, მეტიც, მავნეა, რომელიც მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებას ხელს უშლის. ყურძნის სუბსიდირებით, სახელმწიფო ეხმარება მევენახეს, რითაც მის შემოსავალს ზრდის, მაგრამ სუბსიდირებამ მეორე თემა

— სახელმწიფოს მიერ ყურძნის შესყიდვა მიჩქმალა. რას ნიშნავს სახელმწიფო შესყიდვა? ყურძენს, რომელსაც კერძო ბიზნესი არ ყიდულობს, რადგან მას შარშანდელი მარაგიც აქვს, სახელმწიფო იძენს და მის კუთვნილ ქარხნებში „გრუზვინპრომსა“ და „აკურაში“ აბარებს. ფაქტობრივად, სახელმწიფო ცხვირს ყოფს კერძო ბიზნესში და მეღვინეედაა გადაქცეული, თუმცა ღვინის წარმოება და მისი რეალიზაცია არ შეუძლია. შესაბამისად, გამოსავალი „გამოიგონა“ და ამ ყურძნით ღვინის სპირტს აწარმოებს, რაც გაცილებით ძვირი უჯდება. ეს ნიშნავს, რომ სუბსიდირების გარდა, სახელმწიფო მილიონობით ლარს ხარჯავს, რათა სპირტი აწარმოოს, რომლის რეალიზაციასაც ვერ ახორციელებს. ამიტომ „გრუზვინპრომშიც“ და „აკურშიც“, სპირტის დიდი მარაგებია, თუმცა სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს. ერთი თვის წინ, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში „გრუზვინპრომი“ და „აკურა“ შეიყვანეს, მაგრამ აუქციონზე მხოლოდ „გრუზვინპრომი“ გაყიდეს. თუ არ ვცდები, საწყისი ფასი 6 მილიონი იყო და 30 მილიონად გაიყიდა. სინამდვილეში, სახელმწიფომ „გრუზვინპრომი“ კი არა, სპირტის მარაგები გაყიდა. მართალია, „გრუზვინპრომთან“ ერთად, გასაყიდად მეორე საწარმო „აკურაც“ გამოიტანეს და საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეიტანეს, მაგრამ მასზე აუქციონი არ გამოცხადდა.

— რამდენიმე დღის წინ, სახელმწიფომ სამართლიანობა აღადგინა და შპს „აკურა“ მის ყოფილ მფლობელს, ბიზნესმენ ზურაბ მოდებაძეს დაუბრუნა. პრესაშიმოდებაძის კომენტარიც გავრცელდა, რომელმაც განაცხადა, რომ ეს ქარხანა შს ექსმინისტრ ვანო მერაბიშვილისა და ყოფილი მთავარი პროკურორის ზურაბ ადეიშვილის მუქარის შედეგად, სახელმწიფოს აჩუქა...

— ეს ყველაზე უცნაური ფაქტი იყო, რადგან „აკურა“ დაუბრუნეს პატრონს, რომელმაც თურმე, ეს ქარხანა სახელმწიფოს აჩუქა. იურიდიულად ეს ყველაფერი სასამართლოში გაირკვევა, მაგრამ აქ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე — ზურაბ მოდებაძეს დაუბრუნეს ის, რაც სინამდვილეში, სახელმწიფოსა და ხალხს ეკუთვნოდა. „აკურას“ ისტორია კარგად ვიცი, რადგან საქმე ასლან აბაშიძის კუთვნილ „საზღვაო ბანკს“ ეხება. გარკვეულწილად, ამ პროცესში ეროვნული ბანკის ძველი მენეჯმენტი იყო ჩართული, ანუ ეს ამბავი იმ დროს მოხდა, როდესაც მე ჯერ კიდევ პარლამენტის წევრი ვიყავი და არა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ასლან აბაშიძის „საზღვაო ბანკი“ კრიმინალური ორგანიზაცია იყო, რომელიც იმავდროულად, ხაზინის ფუნქციასაც ასრულებდა. ყველას კარგად გვახსოვს, რომ იმ პერიოდში, ასლან აბაშიძე სახელმწიფო ბიუჯეტში ფულს არ რიცხავდა და მთელი თანხა, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან ცენტრალურ ბიუჯეტში უნდა წამოსულიყო, ადგილზე, „საზღვაო ბანკში“ რჩებოდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც ასლან აბაშიძე საქართველოდან გაიქცა, „საზღვაო ბანკს“ უამრავი ვალდებულებები აღმოაჩნდა და მისი გაკოტრების პროცესი დაიწყო. გაირკვა, რომ ღვინის ქარხანა „აკურას“ „საზღვაო ბანკიდან“ 2 მილიონი ლარის კრედიტი ჰქონდა აღებული. ზურაბ მოდებაძე აცხადებს, რომ ეროვნული ბანკის ლიკვიდატორმა დაიბარა და 2 მილიონი ლარის დაბრუნება სთხოვა, მაგრამ როგორც ჩანს, ლიკვიდატორის ავტორიტეტი საკმარისი არ აღმოჩნდა და პროკურატურაშიც დაიბარეს. ამაში გასაოცარი არაფერია, რადგან „საზღვაო ბანკის“ საქმე ბევრ კრიმინალურ ელემენტს შეიცავდა, მოკლედ, მოდებაძეს პროკურატურაშიც მოსთხოვეს ფულის დაბრუნება, რაზეც მან უარი განაცხადა. ამის შემდეგ მოსთხოვეს, რომ მოდებაძეს ქონება სახელმწიფოსთვის დაებრუნებინა, ყოველ შემთხვევაში, მე სწორედ ზურაბ მოდებაძის კომენტარს ვციტირებ. რეალურად, ღვინის ქარხანა „აკურა“ მისი საკუთრება არ ყოფილა, ეს უკვე ეროვნული ბანკის ბალანსზე ირიცხებოდა და ამ ქარხნის მთელი ქონება იპოთეკით იყო დატვირთული. როგორ მოხდა, რომ იპოთეკით დატვირთული ქონება, ბიზნესმენმა მოდებაძემ სახელმწიფოს აჩუქა? როგორც გითხარით, ამ პერიოდში ეროვნული ბანკის პრეზიდენტი არ ვყოფილვარ და „აკურას“ საქმეც არ ვიცი, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია აგიხსნათ მექანიზმი, როგორ და რა მეთოდით შეიძლება გაყიდოს ეროვნულმა ბანკმა მის ბალანსზე რიცხული ესა თუ ის ქონება. როდესაც ზურაბ მოდებაძემ სესხი ვერ დააბრუნა, ლიკვიდატორს ეს ქონება, ანუ „საზღვაო ბანკი“, მათ შორის, „აკურაც“ აუქციონზე უნდა გაეტანა. ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული ფული ლიკვიდატორის ანგარიშზე უნდა შესულიყო, რომელიც პირველ რიგში, ბიუჯეტში უნდა გადაერიცხათ. თუ ბიუჯეტის წინაშე არსებული ვალდებულება დაიფარებოდა და ამის შემდეგ, გარკვეული თანხა კიდევ დარჩებოდა, მეანაბრეებსა და კლიენტურაზე უნდა განაწილებულიყო. გამოდის, რომ ვინაიდან ზურაბ მოდებაძემ 2 მილიონი ლარი ვერ დააბრუნა და სავარაუდოდ, არც „აკურა“ გაიყიდა, შესაძლოა, ეს ქონება სახელმწიფო ბალანსზე გადაფორმდა. თუმცა მოდებაძის განცხადება, რომ მან ეს ქონება სახელმწიფოს აჩუქა, არადამაჯერებელია, რადგან მას ამის უფლება არ ჰქონდა. როგორც გითხარით, „აკურას“ მესაკუთრე იმ პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკი იყო. ახლა კი, რაღაც მექანიზმებით, ზურაბ მოდებაძეს დაუბრუნეს ქონება, რომელიც ჯერ კიდევ ეროვნულ ბანკს ეკუთვნის. ამ ქარხანას 2 მილიონი ლარის დავალიანება ისევ გასასტუმრებელი აქვს და რაც მთავარია, არც ლიკვიდაციის პროცესი დასრულებულა. შესაბამისად, დღესვე უნდა დაუბრუნდეს „აკურა“ ეროვნულ ბანკს, ლიკვიდატორმა ისევ აუქციონზე უნდა გამოიტანოს ეს ქარხანა, გაყიდოს და მიღებული ფული ბიუჯეტში გადარიცხოს!

— ესე იგი, სახელმწიფომ ზურაბ მოდებაძეს „აკურა“ რომ დაუბრუნა, თაღლითობაა?

— დიახ, ეს სერიოზული დარღვევაა, რადგან 2 მილიონი ლარის დავალიანების მქონე საწარმო ურჩ გადამხდელს დაუბრუნეს! არადა, წლების წინ, სახელმწიფომ „გრუზვინპრომი“ და „აკურა“ იმიტომ შექმნა, რომ რთვლის პროცესში სახელმწიფო შესყიდვები განეხორციელებინა. შესაბამისად, ამ ხნის განმავლობაში, სახელმწიფოს მიერ შესყიდული ყურძენი და მისგან გამოხდილი ღვინის სპირტი, ამ ადამიანს მუქთად ჩაუვარდა ხელში. თუკი ამ ქონებას ეროვნულ ბანკს არ დაუბრუნებენ და კანონით დადგენილი წესით არ განკარგავენ, გამოდის, სერიოზულ კორუფციულ სქემასთან გვაქვს საქმე.

— რაში სჭირდება ხელისუფლებას კორუფციის ასეთი სქემა?

— ორი ვარიანტია, ან სამომავლოდ, ერთობლივი განკარგვის მიზნით, საკმაოდ სერიოზული აქტივები ჩაიგდეს ხელში, ან წინა ხელისუფლების თანამდებობის პირების — მერაბიშვილისა და ადეიშვილის მიმართ, ახალი დევნის დასაწყებად სჭირდებათ. ზოგადად, ყურძნის სუბსიდირების პოლიტიკა, სახელმწიფოს მიერ ყურძენში დაბანდებული ფული, „გრუზვინპრომისა“ და „აკურას“ თემა, ის კორუფციული სქემა, რაც შპს „ბარაქას“ შემთხვევაში გამოვლინდა, ამ ხელისუფლების მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია და გარკვეულ კრიმინალურ ეჭვებსაც ბადებს! მეტიც, „აკურას“ დაბრუნება ეკონომიკური დანაშაულია, რომელიც სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით, კონკრეტული ბიზნესმენისთვის ქონების დაბრუნების თემას სცდება.

— ბატონო რომან, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროსაც ხდებოდა ყურძნის სუბსიდირება და რთვლის „გენერლებიც“ კარგად გვახსოვს ირაკლი ოქრუაშვილის, დავით კეზერაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის სახით... რთველში შესყიდული ყურძნით მაშინაც სპირტს ხდიდა სახელმწიფო?

— სუბსიდირება მაშინაც ხდებოდა, მაგრამ გაცილებით მცირე მასშტაბი ჰქონდა. მეტსაც გეტყვით, „გრუზვინპრომიცა“ და „აკურაც“ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს შექმნეს, რათა სახელმწიფოს მიერ შესყიდული ყურძენი სწორედ ამ საწარმოებისთვის გადაეცათ. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მიერ შესყიდული ყურძნით, მაშინაც ღვინის სპირტს ხდიდნენ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დღევანდელ ხელისუფლებას, სპირტის საკმაოდ დიდი მარაგები დახვდა ამ ორ საწარმოში. თუ გავითვალისწინებთ, რომ წლების მანძილზე, სახელმწიფოს მიერ შესყიდული ყურძნის რაოდენობა იზრდება, რაც თავისთავად, სპირტის მარაგებსაც ზრდის, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მასშტაბებს მიაღწევდა. თუ არ ვცდები, „გრუზვინპრომს“ დაახლოებით, 4 000 ტონა საკონიაკე სპირტის მარაგი ჰქონდა. მანკიერი მექანიზმი ბევრ მანკიერებას წარმოშობს, მაგრამ „აკურას“ შემთხვევა უპრეცედენტოა, რადგან ქონება ურჩ გადამხდელს დაუბრუნეს, მას, ვინც თავის დროზე, სახელმწიფოს წინაშე ვალში იყო!

ვერსიანიუსი

„2016 წელს დოლარის კურსი შესუსტდება და ლარი გამყარებას დაიწყებს“

საქართველოს ვალუტის ფასი შესუსტდა რეგიონული ფაქტორების გამო, მთელ რეგიონში ასეა, — აცხადებს „საქსო ბანკის“ (SAXO BANK) მთავარი ეკონომისტი სტინ იაკობსენი. მისი შეფასებით, 2016 წელს დოლარის კურსი შესუსტდება და ლარი გამყარებას დაიწყებს. „საქსო ბანკი“ ვარაუდობს, რომ ლარი 10%-ით გამყარდება. ამის ძირითადი მიზეზი ის იქნება, რომ ამერიკული დოლარი შეწყვეტს გამყარებას: **„აქ გასათვალისწინებელია ერთი ტენდენცია, რომელიც ყველას ყურადღების მიღმა რჩება, რომ დოლარის კურსი უარყოფით კორელაციაშია შეერთებული შტატების მონეტარულ პოლიტიკასთან. შესაბამისად, ინვესტორებს ლარი უდიდეს შესაძლებლობებს უხსნის, რადგან სახეზეა ინვესტორებისთვის აუცილებელი ორივე კომპონენტი — ღირებულება და ფასი. ფასი, რასაც იხდი, ღირებულება, რასაც იღებ და ორივე შემთხვევაში, ვფიქრობ, ლარი საუკეთესო ვარიანტია. მეტი ინვესტიცია იქნება „სილქ როუდის“ ინფრასტრუქტურაში ჰიდროენერგეტიკის განვითარების პარალელურად. ამდენად, საუკეთესო მაკროეკონომიკური განვითარება, რასაც 30 ქვეყანაში ჩემი ვიზიტის დროს დავაკვირდი, არის საქართველოს შემთხვევაში. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, 2016 წელს ლარი 10%-ით უნდა გამყარდეს“.**

„საქსო ბანკის“ (SAXO BANK) მთავარი ეკონომისტის, სტინ იაკობსენის პროგნოზით, უზარმაზარი დეფიციტის მიუხედავად, პოზიტიური ტენდენციები უნდა დაიწყოს: **„ალბათ ბევრი ადამიანი ამას ვერ აცნობიერებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ლარს დიდი შესაძლებლობები გააჩნია კურსის გამყარების თვალსაზრისით. მაღალპროდუქტიულობის წყალობით, ასევე ჰიდროენერგეტიკული და სხვა პროექტების საშუალებით, ლარის 10%-იანი გამყარება უნდა იყოს აბსოლუტურად რეალური“.**

bpn.ge

გიორგი თარგამაძე პრესასთან სამწლიან დუმილს არღვევს

რატომ დაეშალა პარტია, დაბრუნდება თუ არა პოლიტიკაში და როგორ აფასებს პროცესებს ქდმ-ს ყოფილი ლიდერი



ნინო კომახიძე
599-95-33-16

გიორგი თარგამაძე პოლიტიკიდან 2012 წელს, არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატების დამარცხების შემდეგ წავიდა. მაშინ პარტია თითქმის ყველა ლიდერმა დატოვა. 2013 წელს კი პარტაქტივის ერთი ნაწილი „ოცნებას“ შეერწყა, მეორე — ნინო ბურჯანაძის პარტიას. მეტიც, 2014 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ბურჯანაძე და ქრისტიან-დემოკრატები ერთიანი ბლოკით გავიდნენ. მესამე ნაწილს კი დღეს გოჩა ჯოჯუა ხელმძღვანელობს. მთელი ან ხნის განმავლობაში, ვრცელდებოდა ჭორები, რომ თარგამაძემ პარტია გაყიდა, საკუთარ ტელევიზიას აკეთებს, ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილთან ერთად, „მაესტროსა“ და სხვა ტელეარხებზე მოგვევლინება არხის საინფორმაციოს უფროსად და ა.შ. თავად თარგამაძეს კი, ამ საკითხებზე კომენტარი არასდროს გაუკეთებია. მასმედიასთან იგი მხოლოდ ცოტა ხნის წინ გამოჩნდა, როცა „რუსთავი 2“-ის სასამართლო დავის გამო დაძაბულობამ პიკს მიაღწია და არხს სოლიდარობა გამოუცხადა.
3-წლიანი დუმილის შემდეგ, გიორგი თარგამაძე „ვერსიას“ ექსკლუზივს აძლევს და ყველა იმ კითხვას პასუხობს, რომელიც მის გარშემო დაგროვდა.

— მას შემდეგ, რაც აქტიური პოლიტიკიდან წავედი, უკვე 3 წელია, ლექციებს ვკითხულობ. პარალელურად, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდში, უცხოელების მიერ დაფინანსებულ პროგრამას ვხელმძღვანელობ, რომლის მიზანი ახალგაზრდებისთვის კვალიფიკაციის ამაღლებაა. კმაყოფილი ვარ იმით, რასაც ახლა ვაკეთებ, მით უმეტეს, შესაძლოა, ბევრმა არც იცის, რომ სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ვარ და მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება მაქვს. ბოლო წლებში, არც ეკრანებზე ვჩანდი და მედიასთან ურთიერთობასაც ვერიდებოდი. მგონი, ის მონაკვეთი, რომელიც პოლიტიკაში ჩემს უშუალო ყოფნას უკავშირდებოდა, დავხურე. თუმცა ახლაც ისეთ საქმეს ვაკეთებ და მომავალშიც ისეთი გეგმები მაქვს, რაც ქართული პოლიტიკის ანალიზსა და გარკვეულწილად, რეკომენდაციების გაცემასაც უკავშირდება. იგივეს ვერ ვიტყვი ტელევიზიაზე, თუმცა ჯერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობ. არ ვიცი, რა ფორმითა და სად შეიძლება სატელევიზიო სივრცეში დაბრუნება, რადგან დღეს ტელევიზიას საზოგადოებაში ის ადგილი აღარ უკავია, როგორიც თუნდაც 2007 წელს, როცა „დროებას“ ვაკეთებდი. თუმცა სიამაყით გავიხსენებ იმასაც, რომ ბლოკებისა და კოალიციების გარეშე, ოპოზიციურ პარტიებს შორის, ისტორიაში, ყველაზე მეტი ხმა სწორედ ქრისტიან-დემოკრატებს გვაქვს არჩევნებში აღებული.

— ზუსტად ამიტომ, მუდამ თან გსდევდათ ჭორები, რომ ვანო მერაბიშვილის პარტია, ნაციონალების სატელიტი იყავით. თქვენი მაშინდელი გამარჯვება, დამკვირვებლის თვალით, დღეს უცნაურად არ მიგაჩნიათ?

— ამ შედეგს ვერ მივაღწევდით, მაშინდელი გაერთიანებული ოპოზიცია აღმავლობის პერიოდში რომ ყოფილიყო. ქდმ მას შემდეგ შეიქმნა, რაც ოპოზიციამ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ვერ დაიცვა. შეიძლება ითქვას, იმ დღიდან ოპოზიციის რეიტინგმა იკლო და ამ სეგმენტის გარკვეული ნაწილი ჩვენთან წამოვიდა. ჯამში, 8% ავიღეთ და მიუხედავად იმისა, რომ ახლადშექმნილები ვიყავით, არაერთი ლიდერი ჰყავდა. სხვათა შორის, დღესაც კი, ძველი თუ ახალი პარტიები ქდმ-ს ყოფილ ლიდერებზე სერიოზულად „ნადირობენ“. ამის შემდეგ იყო 2012 წელი, ჯანყი საარჩევნო უბნებთან, ხელისუფლების წინააღმდეგ. სწორედ ამ ჯანყის გამო აღმოვჩნდით პოლიტიკური მეინსტრიმის მიღმა. 2012 წელს, როცა ხალხმა არჩევანი კვლავ ორ უკიდურესობას შორის გააკეთა, საბოლოოდ მივხვდი, რომ პოლიტიკიდან უნდა წავსულიყავი. ეს მე არ გადამიწყვეტია, ხალხმა გადაწყვიტა, როცა ჩემს პარტიას არჩევნებზე კონკრეტული რიცხვი დაუწერა. მე კი ამ გადაწყვეტილებას ვეცი პატივი.

— მაშინ ვრცელდებოდა ხმები, რომ პარტია ნინო ბურჯანაძეს მიჰყიდეთ. რა მოხდა პარტიაში 2013-2014 წლებში რეალურად და რა ხდება დღეს, როცა პოლიტიკურ სივრცეში ორი ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა არსებობს?

— მას შემდეგ, რაც პარტია ჩემს გარდა, ფაქტობრივად, ყველა ლიდერმა დატოვა, დარჩენილებსაც გაუჩნდათ პრაგმატული ინტერესები. მათი ერთი ნაწილი „ოცნებაში“ წავიდა, მეორე — ბურჯანაძესთან, მესამე კი — გოჩა ჯოჯუასთან ერთად, არასაპარლამენტო ძალის სახით ახლაც არსებობს. მარტივად გიპასუხებთ, როცა ეს ყველაფერი მოხდა, ამ დროს პარტიაში უკვე აღარ ვიყავი.

— აბა, ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილებები?

— პარტიის პოლიტსაბჭომ და ყრილობამ. თუმცა არც ამ შეხვედრებს ვესწრებოდი და არც უჩემოდ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ვაკეთებდი კომენტარებს. 2012 წელს გული ისედაც ძალიან დამწყდა, ასე რომ, 2014 წელსაც, როცა ნაწილი ბურჯანაძესთან ერთად, არჩევნებში გავიდა, არავითარი სურვილი არ მქონდა, რამე გამეკეთებინა. თუმცა ადამიანურ ურთიერთობებს დღემდე ყველასთან ვინარჩუნებ. ერთიცაა — იმ ნიშას, რომელიც ქდმ-ს ეკავა, დღეს, მხოლოდ ამ სახელის შენარჩუნებით ვერ დაიკავებენ. ცხადია, იმის მიმართ, რასაც წლების განმავლობაში ვაშენებდი, გულგრილი ვერ ვიქნები, მაგრამ 2012 წელს წერტილი დავსვი და ამის მერე რა და როგორ მოხდა, მე აღარ მეხება. ამ ადამიანებს პრაგმატული მიზნები ჰქონდათ, თუმცა ამ „შუაგაკრეფის“ პერიოდში, დიდი არჩევანი არც ჰქონიათ, ვისთან მისულიყვნენ. თანაც, დიდმა ნაწილმა საკრებულოებში დაიკავა ადგილი, ასე რომ, რაღაც გამართლების მოძებნა შეიძლება. მე აღარ ვარ პოლიტიკაში, ამიტომ ვინმესთვის ჭკუის სწავლებასა და მორალის კითხვას არ ვაპირებ.

— მაგრამ წერტილი არ დაგისვამთ ტელემედიისთვის. ვრცელდებოდა ჭორები, რომ „მაესტროზე“, „იმედზე“ მიდიხართ, საკუთარ ტელევიზიას ქმნით, ვანო ჩხარტიშვილის დაფინანსებით და ა.შ. რა შეთავაზებები მიიღეთ ამ ხნის განმავლობაში და როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

— სიმართლე გითხრათ, ტელევიზიის მიმართ დამოკიდებულება შემეცვალა. საქართველოში ტელემედია ზეგავლენის ყველაზე მძლავრ საშუალებად მაინც რჩება. არ მინდა, უხეშად გამომივიდეს, მაგრამ ტელევიზიების იმ სახით არსებობა, როგორიც დღესაა, მომბეზრდა. ამას მხოლოდ მაყურებლის კი არა, სატელევიზიო მენეჯერისა და ჟურნალისტის პოზიციიდანაც ვამბობ. შემიძლია დავადასტურო, რომ რამდენიმე მოლაპარაკება მართლაც მქონდა, თუმცა სახელების ხსენებისგან თავს შევიკავებ, რადგან შეთავაზებებზე უარი ვთქვი და ამ დეტალების გახმაურება უხერხული იქნება. შემიძლია ისიც გითხრათ, რომ შეთავაზებები როგორც მოქმედი, ისე დასაფუძნებლად გამზადებული ტელევიზიებიდან მივიღე. სხვას ვერაფერს დავაკონკრეტებ.

— და რატომ თქვით უარი ამ შეთავაზებაზე, თუკი ტელევიზიასთან ურთიერთობა ისევ გსურდათ?

— დღეს მოქმედ არც ერთ ტელევიზიაში, არც ერთ პოზიციაზე არ მსურს ყოფნა. თუმცა სიამოვნებით გავაკეთებდი არა „დროების“ ტიპის გადაცემას, დღევანდელი თანამედროვე მოთხოვნებისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით. არც არაფრის დირექტორობა მინდა, გულწრფელად გეუბნებით, ეს ყველაფერი უკვე გავიარე. რაც შეეხება უარს ამ შეთავაზებებზე, ის რამდენიმე მიზეზის გამო ვთქვი, ერთ-ერთი იყო პოზიციონირება სატელევიზიო სივრცეში. თავის დროზე, „იმედზე“ ჩემი წასვლის მთავარი პირობა სწორედ ხელისუფლების მხრიდან ჩაურევლობა იყო. დღეს კი ამის გარანტიები ვერ დავინახე.

— ეს რას ნიშნავს, დააკონკრეტეთ?

— კითხვები დამრჩა არხისა და მისი დამფუძნებლების გრძელვადიან მიზნებთან დაკავშირებით. დღეს იმ ასაკსა და მდგომარეობაში არ ვარ, მოკლევადიან გეგმებზე ვიყო ორიენტირებული. თუმცა მადლობელი ვარ ამ შეთავაზებებისთვის, რაც მივიღე. უბრალოდ, რადგან ყველა მეკითხება, სად და როდის გამოვჩნდები ეკრანზე, მინდა, ყველაფერი განვმარტო. შემიძლია გითხრათ, რომ „რუსთავი 2“-დან და „იმედიდან“ შეთავაზება არასოდეს მქონია. „რუსთავზე“ წასვლის სურვილი არც არასდროს გამჩენია, „იმედზე“ კი, პოლიტიკაში ყოფნის წლებში, სრულიად გაურკვეველი და დაუსაბუთებელი სტერეოტიპები ჩამოყალიბდა, რამაც, ალბათ, ამ არხზე გადაწყვეტილებების მიმღებ ნაწილზეც მოახდინა გავლენა. დღეს უკვე განსხვავებული კონცეფციის მქონე ტელევიზია მინდა. გარკვეული მონახაზიც მაქვს, მაგრამ სხვა თემაა, რამდენად არსებობს ამის რესურსი.

— ანუ მაინც თქვენი ტელევიზია გინდათ?

> **— ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად ტელევიზია გამეკეთებინა. თუმცა ცოტა რთული წარმოსადგენია, როცა საუბარი სერიოზულ, კონკურენტულ არხზეა და არა 236-ზე, საკაბელო ქსელში. ასეთის გაკეთება ხვალვე შეგვიძლია, ორი კამერითა და კომპიუტერული პროგრამით. ეს ეტაპები ჯერ კიდევ „იბერვიზიამდე“, „თვალსაწიერში“ უკვე გავიარე და მაშინაც კი გაცილებით კარგი ხარისხის გადაცემები კეთდებოდა; მეორე მიზეზი, რის გამოც უარი ვთქვი ამ შეთავაზებებზე, სწორედ ჩემი პროფესიული ინტერესია, რომელიც ტელევიზიის მიმართ მაქვს. მინდა, რაღაც ახალი და საინტერესო ვაკეთო.**

— ჯერჯერობით, მხოლოდ ტელემედიაზე კომენტარის გაკეთებით შემოიფარგლეთ — „რუსთავი 2“ იყო თემა, რომლის გამოც ეკრანზე გამოჩნდით და არხისადმი სოლიდარობა გამოხატეთ. „რუსთავი 2“-იც თუ იყო ასეთივე სოლიდარული თქვენს მიმართ, 2007 წლის 7 ნოემბერს?

— პიროვნულ და ადამიანურ დონეზე, ისინი სოლიდარულნი იყვნენ 2007 წელს. იმ კადრებს დღემდე ვერ ვუყურებ და შეიძლება, ბევრი დეტალი არ მახსოვდეს, მაგრამ კარგად მახსოვს, ჩვენი დახურვის პარალელურად, ორმა წამყვანმა „რუსთავი 2“-ის ეთერში განცხადება გააკეთა და ამ ადამიანებს ამას ვერ დავუკარგავ. თუმცა, ობიექტურობისთვის, ისიც კარგად მახსოვს, იმავე ღამით, იმ არხზე, თოქ-შოუში როგორ გვდებდნენ მიწაში ხელისუფლების თავგამოდებული დამცველები, გვლანძღავდნენ, ეპითეტებითა და იარლიყებით გვამკობდნენ. თუ ვინმეს გვარების გახსენება უნდა, 7 ნოემბრის „რუსთავი 2“-ის ღამის ეთერს უყუროს.

> **გვარებს რომ არ ვასახელებ, ნურავინ იფიქრებს, რომ ამნეზია მაქვს და არც იმ პოლიტიკოსების საქციელი მახსოვს, ბადრი პატარკაციშვილზე ჩანაწერების დადების მერე, „იმედის“ თოქ-შოუებში მონაწილეობის მისაღებად სანთლით რომ ვეძებდი. თუმცა მერე, ბადრის ორმოცსა და არცერთ წლისთავს რომ არ დაკლებიან და მის იუბილეებზე დღემდე თავაწეულნი დადიან! ასე რომ, მათ იდარდონ, შერცხვეთ ან ნუ შერცხვებათ, ვინც ამას აკეთებდა.**

— „იმედი“ ჟურნალისტიკასა და ტელევიზიაზე მეტი არ იყო 2007 წელს?

— „იმედი“ იმის გამო გახდა უფრო მეტი, რაც 2007 წელს ქვეყანაში ხდებოდა. პირადად ჩემთვის, როგორც არხის საინფორმაციო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირისთვის, არავითარი განსხვავებული ამოცანა არ ყოფილა დღის წესრიგში.

— იყო ბრალდებები, რომ ამზადებდით გადატრიალებას, ბადრი პატარკაციშვილთან ერთად, რომ 7 ნოემბერს პირდაპირ ეთერში იყო მოწოდებები ხელისუფლების შეცვლის შესახებ, გაავრცელეთ ინფორმაცია, თითქოს, ქაშვეთის ეკლესიაში ხალხს არბევდნენ და ა.შ. დღეს როგორ ფიქრობთ, მაშინ ცოტა ზედმეტი არ მოგივიდათ?

— შეცდომა ჩვენ არ დაგვიშვია, ხელისუფლებამ დაუშვა. 7 ნოემბერს „იმედს“ საინფორმაციო მაუწყებლობის საგანგებო რეჟიმი უკვე 2 დღის გაუქმებული ჰქონდა და აქციების პირდაპირ ტრანსლაციებს აღარ ვაშუქებდით. ახალი ტალღა 7 ნოემბრის დილას, ე.წ. ყვითელფორმიანების მიერ რამდენიმე მოშიმშილის დარბევაც გამოიწვია, რაზეც საზოგადოებამ იფეთქა. ამხელა დაპირისპირება მოხდა და „იმედს“ ეს არ უნდა გაეშუქებინა? ჩვენი მაშინდელი ეთერი ვერაფრის მაპროვოცირებელი ვერ იქნებოდა, რადგან 7 ნოემბერს, შუადღის შემდეგ, სპეცრაზმმა გადამცემები დაგვიმტვრია და ჩვენ ან „რუსთავის“ სიგნალს გადავცემდით, ან საზოგადოებრივი მაუწყებლის. ქაშვეთში არ შევარდა დარბეული ხალხი და გაზი არ შეუშვეს ეკლესიაში თუ ამის შესახებ თავად ეკლესიის წინამძღვარი არ ყვებოდა? რა, მეხსიერებიდან ამოგვეშალა, რაც მაშინ მოხდა და ყველაფერი „იმედმა“ მოიგონა?!

დასასრული მე-6 გვერდზე

გიორგი თარგამაძე პრესასთან სამწლიან დუმილს არღვევს

მე-5 გვერდიდან

7 ნოემბერს თანამშრომლები შევკრიბე და ვუთხარი, ალბათ, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდება, მოვა ე.წ. ცენზორი და დროებით, ხელში აიღებს არხის საინფორმაციო პოლიტიკაზე ცენზურას, მაგრამ არ შეგეშინდეთ-მეთქი. თუმცა მეც არ ველოდი, ცოტა ხანში, სპეცნაზი თუ შემოვარდებოდა და ტელევიზიას თავზე დაგვამხობდა. ამ არჩევანს ყოველთვის ხელისუფლება აკეთებს, შესაბამისად, სწორედ ის აყენებს ტელევიზიას გამოუვალ მდგომარეობაში და არა იმდენად არხის დამფუძნებელი, თავისი ინტერესებით. ხელისუფლებას ასეთი შემტევი პოლიტიკა რომ არ აერჩია, „იმედის“, როგორც ბოლო საინფორმაციო ალტერნატივის მიმართ, მაქსიმალურად ვეცდებოდით, პოლიტიკურ პროცესთან თუ ფიგურებთან მინიმალური ბმა გვქონოდა.

— ალბათ, თქვენ საუკეთესო პარალელს გაავლებთ 2007 წლის „იმედსა“ და 2015 წლის „რუსთავი 2“-ს შორის. თუკი მაშინ სტუდიაში ნიღბიანი ხალხი შემოგივარდათ, პირდაპირ ეთერში შუქი ჩაგიქრეს და „იმედი“ გამორთეს, „ოცნების“ ხელისუფლებამ დღეს იგივე ვერ გაბედა. რატომ?

— „იმედი“ და „რუსთავი 2“ ტყუპისცალებივით გვანან ერთმანეთს. მაშინაც და ახლაც მთელი პოლიტიკური ვერტიკალი და ყველა უწყება ერთ პოლიტიკურ ძალას ეკუთვნოდა და ხელისუფლების ალტერნატივად, მხოლოდ ერთი არხი რჩებოდა. უბრალოდ, მაშინ ასეთი „იმედი“ იყო, დღეს — „რუსთავი 2“-ია. სამწუხაროდ, დღესაც იგივე ვითარებაში აღმოვჩნდით. სპირალისებურადაც კი ვერ ვვითარდებით და ზუსტად იგივე წრეზე დავტრიალდით. არც „იმედი“ იყო იდეალური ტელევიზია და „რუსთავიც“ უშვებს შეცდომებს, თუმცა ალტერნატიული აზრი ყოველთვის საჭიროა. რაც შეეხება იმას, რატომ ვერ მიიყვანა „ოცნებამ“ თავისი მცდელობა ბოლომდე, ვფიქრობ, ბრძოლა „რუსთავი 2“-ისთვის, ჯერ არ დასრულებულა. თუმცა, პირველ ეტაპზე, გაჩერდა და გარკვეული სტატუს-ქვო შენარჩუნდა. ამის მიზეზი, ვფიქრობ, მაინც საერთაშორისო საზოგადოების რეაქციაა, რომელსაც ივანიშვილი გაცილებით ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ვიდრე სააკაშვილი.

სააკაშვილი 7 ნოემბერს მართლა გადაყვებოდა, მაშინდელ პოლიტიკურ სპექტრს რომ ევარგა და 5 იანვრის არჩევნებში, სააკაშვილის პირობებით არ ეთამაშა. საერთაშორისო რეაქცია კი ძალიან მკაცრი იყო და ივანიშვილმა იცის, რომ დღესაც ასეა! ამერიკის მაშინდელმა ელჩმა, ჯონ ტეფტმა სააკაშვილი გააჩერა, ისიც ვიცი, რომ მიხეილ სააკაშვილმა გადადგომა სწორედ მასთან უმკაცრესი საუბრის შემდეგ გადაწყვიტა. ბიძინა ივანიშვილს კი, საერთაშორისო რეპუტაცია არ ანაღვლებს და პრინციპში — არც აქვს. მას მხოლოდ თავისი გავლენები აინტერესებს და სურს, „რუსთავი 2“-ზე დაწყებული პროცესი ბოლომდე ისე მიიყვანოს, მინიმალურად დაზიანდეს. მაგრამ ეს შეუძლებელი მგონია. ამიტომაც გაიჭედა ეს პროცესი შუა გზაზე და რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, „რუსთავი 2“-ის მენეჯმენტის შეცვლის პოლიტიკური ფასი მით უფრო გაიზრდება. სწორედ ეს აღძრავს საშიშროებას, რომ ქვეყანაში უმართავი პროცესები დაიწყოს.

— „რუსთავი 2“-ის გაჩერებასაც შეუძლია ვადამდელი არჩევნების გამოწვევა, როგორც ეს მაშინ „იმედმა“ მოახერხა?

— არა მგონია, თუმცა ამას ისიც აფერხებს, რომ კალენდარული არჩევნები ისედაც ძალიან ახლოსაა. მაინც ვფიქრობ, „რუსთავი 2“-ს საფრთხე მაინც ემუქრება და საზოგადოებამ, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, ყურადღება არ უნდა მოადუნოს. ორი დღის წინ ჩამოვედი აშშ-დან, სადაც პროგრამის, „რუსეთის ინფორმაციული ომი საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ“ ფარგლებში აშშ-ს ანალიტიკურმა ცენტრებმა მიმიწვიეს. ფაქტობრივად, ყველას შევხვდი, ვისაც საქართველოსთან შეხება აქვს ან ჰქონია და ყველა ძალიან შეწუხებულია რეგიონში მიმდინარე ვითარებითა და იმით, რომ საქართველო, ქვეყნის შიგნით, ვითარებას ხელოვნურად კიდევ უფრო ირთულებს. დღეს ისინი ფიქრობენ იმას, რასაც მაშინ „იმედზე“ ფიქრობდნენ — ხელისუფლება ახრჩობს ალტერნატიულ მედიას!

— როგორ ფიქრობთ, ამ ყველაფრის და იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკურ ველზე ახალი ფიგურა, პაატა ბურჭულაძე გვევლინება, რა იქნება 2016 წელს და როგორ აღმოჩნდა ბურჭულაძის გუნდში თქვენი ყოფილი თანაპარტიელი გიორგი რუხაძე?

— გიორგი რუხაძეს ქვეყანაში პარტიულ სახედ არავინ აღიქვამს. ჩვენთანაც საგარეო მიმართულებაზე მუშაობდა, ამიტომ დარწმუნებული ვარ, პაატა ბურჭულაძე მისით ბოლო წლების საექსპერტო საქმიანობის გამო დაინტერესდა. ზოგადად, კვლევების თანახმად, დღეს მოსახლეობის 60%-ს, მოქმედი პოლიტიკური სპექტრიდან, არც ერთი ძალის იმედი არ აქვს. ერთი მხრივ, ამაში დიდი საფრთხეა — რაღაც უბედურება რომ მოხდეს ქვეყანაში, არ არსებობს ძალა, რომელიც მთელი ერის კონსოლიდირებას მოახერხებს. მეორე მხრივ კი, ეს ახალი პოლიტიკური ძალების ასპარეზზე შემოსვლის საშუალებას იძლევა. ამ შემთხვევაში, პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო საქმიანობა ნეგატიური ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება. მას პოლიტიკური წარსული არ აქვს, თუმცა პოლიტიკოსის უნარებისგან მაინცდამაინც შორს არ არის. ობიექტურად რომ ვთქვათ, ის საკმაოდ უნარიანი მენეჯერი აღმოჩნდა, რომელმაც მარტო საკუთარი სახელისა და ავტორიტეტის კაპიტალიზაცია კი არ შეძლო, მთელი ქვეყნის მასშტაბით მოახერხა რესურსების მობილიზება. მგონი, არც ერთი სტრუქტურა თუ ბიზნესი არ დარჩენილა, მის საქველმოქმედო ფონდში ფული ნებაყოფლობით არ ჩაერიცხა. თუმცა ვფიქრობ, ეს ენთუზიაზმი მისი პოლიტიკაში გამოჩენისთანავე გაქრება.

სხვათა შორის, ბურჭულაძე ჭკვიანურად იქცევა, როცა გარშემო კონკრეტულ პარტიებთან ასოცირებულ ხალხს არ იყენებს. ხოლო მისი დღევანდელი გარემოცვა მის საარჩევნო სიაშიც თუ აღმოჩნდება, სწორ გადაწყვეტილებად ჩავუთვლი. ვფიქრობ, ბურჭულაძე უფრო ცენტრისტულ პლატფორმას დაიჭერს და იტყვის, რომ ურთიერთკინკლაობა, შეურაცხყოფა, შანტაჟითა და ფარული ჩანაწერებით ბრძოლა და ა.შ. ცუდია და ამას წერტილი უნდა დაესვას.

ის საერთო ენის გამონახვას ყველასთან შეძლებს და შეეცდება, პარტიას საქმიანი გუნდის იერიც ჰქონდეს, რომელიც სოციალურ დაპირებებზე იქნება ორიენტირებული და არა რომელიმე ძალის მოშორებაზე. თორემ, არიქა, 60% ცარიელია, პაატა ვარ, ბურჭულაძე, მოვედი და ხმა მომეცითო, ასე თუ მოიქცევა, არაფერი გამოუვა.

რაც შეეხება 2016 წელს: „ოცნება“ აუცილებლად დარჩება პარლამენტში, თუმცა ძველი სახეებიდან, ალბათ ძალიან ცოტას ვიხილავთ. ვფიქრობ, მივიღებთ პარლამენტს, სადაც უმრავლესობა არავის ექნება, ამიტომ კოალიციური უმრავლესობისა და მთავრობის ფორმირების საჭიროება დადგება. პროდასავლურ ფრთაზე მყოფი სუბიექტები, სამწუხაროდ, უმრავლესობას ვერ ააგროვებენ, უმრავლესობას ვერც „ოცნება“ აიღებს, ალბათ, მომავალ პარლამენტში ნინო ბურჯანაძე და პატრიოტთა ალიანსი შევლენ და იმის ალბათობაც არსებობს, „ოცნებას“ რომელიმე მათგანი კოალიციისთვის დასჭირდეს. ამიტომაც მგონია, რომ ბურჭულაძის ძალას ცენტრისტული პოზიცია ექნება და ყველა მიმართულებით შეძლებს მანევრირებას. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, 2016 წლის არჩევნებზე განსაკუთრებულ სიურპრიზებს არ ველი.

რეალურად ვინ დგას „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ უკან?

ლაშა დვალი

გავლენის გარეშე დარჩენილი ნაციონალური მოძრაობის ტაქტიკა, მაქსიმალურადაა გადასული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური დივერსიების მოწყობაზე. ამისთვის კი, ეს ორგანიზაცია, მის ხელთ არსებულ ძირითად რესურსებს — მედია-საშუალებებს, კონტროლირებად არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ე.წ. საზოგადოებრივი აზრების კვლევებს, რომელთა შედეგებით ახდენს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას.

ამგვარი მანიპულირების სქემა მარტივია: ნაციონალური მოძრაობის გავლენის ქვეშ მყოფი არასამთავრობო ორგანიზაცია აკეთებს ე.წ. კვლევას, რომელიც ძირითადად, გამოხატავს პარტიის ინტერესებს და არა რეალობას. შემდეგ ამ კვლევის ლეგიტიმაციისთვის პოულობს რომელიმე საერთაშორისო ფონდს, როგორც პარტნიორს, შემდეგ შეფუთავს პროდუქტს და მიაწვდის ასევე ნაციონალური მოძრაობის გავლენის ქვეშ მყოფ მედიასაშუალებებს, პირველ რიგში, რასაკვირველია, „რუსთავი 2“-ს. მედია საზოგადოებას აცნობებს, რომ კვლევა ჩაატარა საერთაშორისო ორგანიზაციამ (და რასაკვირველია არ ახსენებს, რეალურად ვინ და როგორ ჩაატარა გამოკითხვა) და დახატავს სურათს, თითქოს ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი მაღალია. ამის შემდეგ, ნაციონალების მიერ კონტროლირებადი მედია კვლევის შესაფასებლად აკითხავს ასევე ნაციონალური მოძრაობის მიერ კონტროლირებად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და თავის ექსპერტებს. ეს უკანასკნელები, ადასტურებენ — კვლევა ნამდვილად წარმოაჩენს რეალობასო და მხოლოდ ამის შემდეგ, სთხოვს ნაციონალების ჟურნალისტი ხელისუფლების წარმომადგენლებს საკითხზე კომენტარს. ხელისუფლების წარმომადგენელს კი სხვა გზა არ დარჩენია, ასე თუ ისე, თავის მართლება უწევს. საბოლოოდ კი, ასეთი ვითარება იქმნება — მთელი პოლიტიკური სპექტრი არჩევს კვლევას, რომლის ნამდვილობა არავის შეუმოწმებია. ზუსტად ამ სქემით ქვეყნდებოდა NDI-ს ანეკდოტადქცეული კვლევები, სადაც ნაციონალური მოძრაობა წარმოჩენილი იყო, როგორც ქვეყნის ყველაზე პოპულარული პოლიტიკური ორგანიზაცია მაშინ, როცა ამ პარტიას უჭირს შეკრიბოს 5000 კაციანი მხარდამჭერთა ჯგუფიც კი. NDI-მ კვლევა დაუკვეთა „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს“ (CRRC). იგივე სქემას მიჰყვება „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“, რომელმაც კვლევა დაუკვეთა იმავე „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს“. ეს ცენტრი აფილირებულია ნაციონალური მოძრაობის ისეთ სახეებთან, როგორიცაა ლევან თარხნიშვილი და თინათინ ბოკუჩავა, რომელიც 2009-2011 წლებში NDI-ში სოციოლოგიური კვლევების მიმართულებას კურირებდა. ამავე ორგანიზაციასთან აფილირდება ნაციონალურ მოძრაობასთან დაახლოებული ექსპერტი გია ნოდია.

საკვირველია, რატომ ვერ შეამჩნია თავად NDI-მ ან „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა“, რომ „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევები, რბილად რომ ითქვას, ძალიან განსხვავდება რეალობისგან. ამის დასტურად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ჩატარებული კვლევაც გამოდგება, სადაც ნაციონალურ მოძრაობას დაუწერეს 37%, „ქართულ ოცნებას“, მხოლოდ 12%, რამდენიმე დღეში კი არჩევნები „ოცნებამ“ მოიგო. ანუ, NDI-ს მიერ დაკვეთილმა კვლევამ აჩვენა მინიმუმ 42%-იანი ცდომილება! სოციოლოგიური კვლევები უშვებენ მაქსიმუმ 2%-იან ცდომილებებს, მაგრამ 42%-იანი შეცდომა შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთგვარად — კვლევები უნამუსოდ იყო გაყალბებული.

ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნაციონალური მოძრაობა ისე ახდენს მოსახლეობის მანიპულირებას, რომ ამას ვერ ან არ ამჩნევენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ამგვარი დამოკიდებულება კვლევებისადმი კი ძალიან საშიშია როგორც პოლიტიკური ცხოვრებისთვის, ასევე საზოგადოებისთვისაც, რადგან ყოველი დამახინჯებული კვლევა სულ უფრო ამცირებს ხალხის ნდობას არა მხოლოდ კვლევების, არამედ ამ კვლევების დამკვეთი ორგანიზაციების მიმართაც.

პირველად საქართველოში „გალტ & თაგარტი“, „საქსო ბანკთან“ ერთად, მომხმარებელს ონლაინტრეიდინგის პლატფორმას სთავაზობს

„გალტ & თაგარტისა“ და Saxo Bank-ის ახალი შეთავაზება — ონლაინტრეიდინგის პლატფორმა G&TY TRADER („ჯითი ტრეიდერი“) მათთვისაა, ვისაც სურს, საკუთარ თავში ტრეიდერი აღმოაჩინოს და გლობალურ ფინანსურ ბაზრებთან ჰქონდეს წვდომა. აღნიშნული პლატფორმა, „გალტ & თაგარტსა“ და „საქსო ბანკს“ შორის საქართველოში ე.წ. White Labeling-ის ექსკლუზიური პარტნიორობის შედეგად შეიქმნა, რომელიც რეგიონში ამგვარი თანამშრომლობის პირველი შემთხვევაა. „ვქმნით შესაძლებლობებს“, — ამ სლოგანით, „გალტ & თაგარტი“ ამჯერად „ჯითი ტრეიდერის“ პლატფორმით საქმიან ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას, ჰქონდეთ წვდომა გლობალურ ფინანსურ ბაზრებთან. „გალტ & თაგარტის“ კლიენტები სწორედ „ჯითი ტრეიდერის“ საშუალებით, ყოველგვარი ფიზიკური შუამავლის გარეშე, ონლაინრეჟიმში, სწარაფად და უსაფრთხოდ განახორციელებენ გლობალურ ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტიციებს და ივაჭრებენ წამყვანი კორპორაციების ფასიანი ქაღალდებით. „ჯითი ტრეიდერი“ მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, დღეღამის ნებისმიერ დროს, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ლეპტოპის, პლანშეტის ან სმარტფონის საშუალებით, ონლაინრეჟიმში მართოს საკუთარი ანგარიშები. „ჯითი ტრეიდერის“ საშუალებით, მომხმარებელი ივაჭრებს სხვადასხვა საინვესტიციო ინსტრუმენტებით: აქციები, ობლიგაციები, FOREX, CFD, ფიუჩერსები, ოფციონერები.

„საქსო ბანკის“ თანადამფუძნებლის და მთავარი აღმასრულებელი თანადირექტორის, **ლარს სეიერ კრისტენსენის** განმარტებით, „საქსო ბანკი“ საქართველოსთან თანამშრომლობით დაინტერესებულია, რადგან ჩვენს ქვეყანაში, ბოლო წლებში, ეკონომიკის თვალსაზრისით შთამბეჭდავი ზრდა დაფიქსირდა: **„საქართველოს ბანკი“ უძლიერესი რეპუტაციის მქონე ბანკია მსოფლიოს მასშტაბით. მას შეუძლია აიყვანოს საქართველო უფრო მაღალ დონეზე საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების განვითარების თვალსაზრისით. საქართველოში, ბოლო წლებში, ეკონომიკური აღმავლობაა. ამ ფონზე, დაინტერესებულები ვართ და ვამაყობთ, რომ ამ სწრაფი განვითარების ნაწილი, საქართველოსთან ერთად, ჩვენც ვიქნებით. იმედი მაქვს, ხელს შევუწყობთ საქართველოს ფინანსურ განვითარებას, ქართულ მხარესთან თანამშრომლობა კი, ორმხრივად მომგებიანი იქნება და ქართველი პარტნიორებიც მიიღებენ მნიშვნელოვან სარგებელს. საქართველოს ფინანსური ბაზარი სწრაფად იზრდება და შესაბამისად, მეტი დაინტერესებაა ინვესტორების მხრიდან, რათა მოახდინონ ინვესტირება სხვადასხვა ინსტრუმენტებში და განავითარონ საკუთარი შესაძლებლობები, რაც ვიმედოვნებ, ორივე მხარეს სარგებელს მოუტანს“.**

„ჯითი ტრეიდერის“ მნიშვნელობაზე ისაუბრა BGEO ჯგუფის გენერალურმა დირექტორმა, ირაკლი გილაურმა. მისი განცხადებით, ეს უნიკალური შეთავაზებაა საქმიანი ადამიანებისთვის, რომელთაც აინტერესებთ, რა ხდება საერთაშორისო ბაზარზე. **ირაკლი გილაურის** განმარტებით, „გალტ & თაგარტისა“ და „საქსო ბანკის“ ახალი პროექტი, ზოგადად, საქართველოს ეკონომიკისთვისაც, უმნიშვნელოვანესია: **„ჩვენთვის პატივია „საქსო ბანკთან“ თანამშრომლობა. ამ პარტნიორობის შედეგად, 1,9 მილიონ ჩვენს მომხმარებელს, შეეძლება სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტის მეშვეობით, იყიდოს და გაყიდოს ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი მთელ მსოფლიოში, ნებისმიერ ბაზარზე. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე იმ თვალსაზრისით, რომ ნებისმიერ უცხოელსაც შეეძლება ქართული ფასიანი ქაღალდის შეძენა. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველო ნელ-ნელა, რეგიონის ფინანსური ცენტრიც ხდება. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი საქართველოს ეკონომიკასაც მოუტანს ზრდას — როცა შეიძლება ფასიანი ქაღალდები, იგივე ობლიგაციები იყიდოს ნებისმიერმა მომხარებელმა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მეტი კაპიტალი შემოედინება ქვეყანაში, შესაბამისად, შეიძლება, საპროცენტო განაკვეთებმაც დაიწიოს და კაპიტალი, უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ჩვენი, როგორც კორპორატიული, ასევე საცალო მომხმარებლისთვის“.**

BGEO ჯგუფის გენერალური დირექტორის განმარტებით, „ჯითი ტრეიდერით“ სარგებლობისთვის კლიენტს საბროკერო ანგარიშის გახსნა შეუძლია როგორც „გალტ & თაგარტში“, ასევე SOLO ლაუნჯში, SOLO და პირადი ბანკირების მეშვეობით. დამატებით, ბანკირები მომხმარებელს საბროკერო ანგარიშის გახსნასთან ერთად, კონსულტაციას გაუწევენ G&T TRADER პლატფორმით სარგებლობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საქართველოს ბანკის დაგროვილი ქონების მართვის და SOLO მომხმარებელს, შესაძლებლობა აქვს ბანკირის მეშვეობით მართოს, როგორც საბანკო, ასევე საბროკერო ანგარიშები და აქტივები. „გალტ & თაგარტი“ მსურველ კლიენტს საშუალებას აძლევს, ისარგებლოს ერთთვიანი უფასო დემო-ანგარიშით და საკუთარ თავზე გამოსცადოს G&T TRADER პლატფორმის შესაძლებლობები.

ნინო ლურსმანაშვილი

„უნდა ვაღიაროთ, რომ ადრეულ ასაკში ქორწინებაც ძალადობა და დანაშაულია“

ნათია დაუშვილი
599-85-09-43

25 ნოემბერს, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა მოძრაობამ“ აქცია საქართველოს 13 ქალაქში, დასკვნითი ღონისძიება — აქცია-პერფორმანსი კი თბილისში, კანცელარიასთან გამართა. ორგანიზატორები გოგონების ადრეულ ასაკში ქორწინებას აპროტესტებდნენ. „ვერსიასთან“ „ქალთა მოძრაობის“ აქტივისტმა, ᲘᲠᲐ ᲑᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔᲛ აღნიშნა, რომ საქართველოში ნაადრევი ქორწინების მხრივ მძიმე ვითარება და საგანგაშო სტატისტიკაა.

— ოფიციალური სტატისტიკით, დღეში 12 არასრულწლოვანი თხოვდება, დღეში 4 გოგონა მშობიარობს ადრეულ ასაკში. ეს საგანგაშოა, მითუმეტეს, სტატისტიკა სრულყოფილი არაა, რეალურ სურათს არ ასახავს და მდგომარეობა გაცილებით რთულია.

აქცია, სახელწოდებით „ნუ გაათხოვებ!“, საქართველოს 13 ქალაქში ერთდროულად მოეწყო

— საქართველოში ქალებზე ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა რომელია?

— ძალადობის სხვადასხვა ფორმა არსებობს. კვლევების მიხედვით, ყველაზე გავრცელებულია ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა. ერთი, განყენებული ფორმა არ ფიქსირდება. ძალადობა კომბინაციაშია, როგორც ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობა, რაც გავრცელებული და საკმაოდ დაფარული ფორმაა, რადგან სამწუხაროდ, მასზე არ საუბრობენ მსხვერპლები.

— სამაგიეროდ, ზოგადად ძალადობაზე საზოგადოება უფრო აქტიურად საუბრობს. ამან ძალადობის ფაქტების შემცირება არ გამოიწვია?

— მნიშვნელოვანია, რომ ამ პრობლემას უკვე დავარქვით სახელი. მე, აქტივისტს, წლების წინ, ამ პრობლემაზე საუბრისას მეუბნებოდნენ, გეჩვენება, ეს ერთეული შემთხვევებია და არა სოციალური პრობლემა საქართველოშიო. დღეს ამას აღარ ამბობენ, მით უმეტეს, ვითარება ბევრმა ფაქტორმა შეცვალა, პირველ რიგში კი იმან, რომ შარშან 25-ზე მეტი ქალი მოკლეს. ყველამ აღიარა, რომ თურმე გვქონია პრობლემა — საქართველოში ქალებზე ძალადობენ, საქართველოში ქალებს ხოცავენ! კარგია, რომ ამ მიმართულებით, სახელმწიფომაც შეცვალა დამოკიდებულება და აღიარა, რომ ეს არის პრობლემა. პრობლემის მოგვარება ხომ, მისი აღიარებიდან იწყება.

— და რა კეთდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

— რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მაგალითად, პარლამენტში, ჩვენი ინიციატივით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც სხვადასხვა სტრუქტურაა ჩართული და ჩვენი რეკომენდაციის საფუძველზე, სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ. არსებობს ასევე ცხელი ხაზი და სახელმწიფო თავშესაფარი, სადაც, სამწუხაროდ, ბევრი ხარვეზია.

— როგორც ვიცი, ვითარება რეგიონებში უფრო მძიმეა, იქ თუ გეგმავთ რაიმე ღონისძიებებს?

— რა თქმა უნდა. ეს მთელი საქართველოს პრობლემაა, მაგრამ გვაქვს მძიმე რეგიონებიც. მაგალითად, ზემო აჭარა, ქვემო ქართლი და კახეთი. აქციებს ერთდროულად ვმართავთ სხვადასხვა ქალაქში. ამის ორგანიზებას ადგილობრივი თემის ლიდერი ქალები ახდენენ. ეს უმნიშვნელოვანესია, რადგან ცხადყოფს, რომ ძალადობის გააზრება-გაპროტესტება რეგიონებშიც დაიწყო. ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა ნაადრევი ქორწინება. ამიტომ, წელს, კამპანია ძალადობის წინააღმდეგ, სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა. ესეც უნდა ვაღიაროთ, რომ ადრეულ ასაკში გათხოვება, ძალადობა და დანაშაულია. ეს უმნიშვნელოვანესია, რადგან დღეს, ადრეულ ასაკში ქორწინებაზე, ადეკვატური რეაგირება არც სახელმწიფოს აქვს და არც საზოგადოებას. ამ პრობლემას, უამრავ ღონისძიებას მივუძღვნით. მათ შორის იქნება გამოფენაც, რომელიც, სავარაუდოდ, დეკემბრის დასაწყისში მოეწყობა.

პატიმრების „სასჯელი“ ოფიცრის შვილის საოპერაციო ფულის „ჩალიჩისთვის“

პატიმარი №0578

ალბათ არსად აქვს სიტყვას იმხელა ფასი და წონა, რამხელაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. იქ სიტყვა მართლა გაფრენილი ჩიტია, იტყვი და ვეღარ დააბრუნებ და რამდენიც უნდა ამტკიცო, წამომცდაო, პატიმრები ისე იგებენ, როგორც სურთ. წარმოთქმულმა სიტყვამ ზონაზე შესაძლოა იმდენი პრობლემა შეგიქმნას, ცემას ვინ ჩივის, სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებაში გაქცევაც კი მოგიხდეს. სამწუხაროდ, საკუთარი სიტყვის ტყვეები ძირითადად ის პატიმრები ხდებიან, ვინც დაწესებულებაში პირველად ხვდება, მენტალობით კრიმინალი არ არის, თავისუფლებაზე კრიმინალთან შეხება არ ჰქონია და არ იცის, რომ იქ ხუმრობასაც კი სერიოზულად აღიქვამენ... რა თქმა უნდა, თუ ამის საჭიროება დაინახეს.

როცა ანზორ თ. ზონაზე მოიყვანეს, პატიმარი №0578 ზონის მაყურებელთან ერთად ეზოში იდგა და კორპუსის ოფიცერს ესაუბრებოდა. პრინციპში, ესაუბრებოდა კი არა, ოფიცერს ფინანსური პრობლემა ედგა, თავის გაჭირვებაზე ჰყვებოდა, ბავშვი მყავს საოპერაციო, ფული არ მაქვსო. №0578 უმტკიცებდა, განცხადება დაწერე, სახელმწიფო დაგეხმარებაო, მაგრამ ის უიმედოდ აქნევდა თავს, სამჯერ დავწერე უკვე და მესამედ, ლამის სამსახურიდან გამაგდესო. სწორედ ამ დროს, მაყურებელმა ანზორი დაინახა და ოფიცერს უთხრა: „აი, ამ ბიძას ხომ ხედავ? ნახე რამხელა ღიპი და პუტკუნა სახე აქვს? უეჭველი დიდი მაყუთი აქვს და მომეცი უფლება, ერთი „მივაკაჩავო“ და ნახავ, იმდენ ფულს გამოვართმევ, შენი შვილისთვის ოპერაციასაც მარტივად გააკეთებ და ცოტა მეც დამრჩება“.

ოფიცერმა ზანტად გახედა იმ კაცს, ვისზეც მაყურებელი საუბრობდა და უცებ სახე ეცვალა. „ვახ, ამოიყვანეს უკვე? წავედი, უნდა დავაბინაო... ეს ხომ ანზორა თ-ა, არც კი გაბედო მიახლოება, ფეხებით დაგკიდებენ, შე უბედურო“, — ისროლა ოფიცერმა და ახალი პატიმრისკენ გაიქცა. მლიქვნელური ღიმილით მიესალმა და კამერისკენ გაუძღვა.

„ხომ არ იცი, ვინ არის ეს ჩემისა, ჩინური მამალივით რომ იბღინძება?!“ — ჰკითხა მაყურებელმა №0578-ს.

„თუ ის არის, ვინც მგონია, მაშინ ფულის ტომარაა. ერთი რიგითი ნაძირალა, რომელიც თავის წონა ფულს იხდის იმაში, რომ ვინმემ მისცეს და ღამის ბარებში პატარა გოგოებს დასდევს. მაგარი ახვარია“, — უთხრა №0578-მა.

„მოიცა, კაცო. ამას წინათ მითხრა ერთმა „ბრატმა“, შეიძლება შენს ზონაზე ერთი კაი კაცი მოიყვანონო. იმასაც ანზორა ერქვა, ტელევიზორებს ყიდისო და ეგ ხომ არ არის? შენ ხომ არ გეშლება?!“ — ეჭვით იკითხა მაყურებელმა.

„არა, ტელევიზორებს რომ ყიდის, ის ქოქოლაძეა, კაი ტიპია და როგორც ვიცი, ის ქსანში წაიყვანეს. ამას ლომბარდები აქვს, მევახშეა, რა“, — სიცილით უთხრა №0578-მა.

„და რა გაცინებს?!“ — გაუკვირდა მაყურებელს.

„არაფერი, ქოქოლაძის საქმიანობა შენსავით არავის აღუწერია. როცა ვნახავ, ვეტყვი, ტელევიზორებს რომ ყიდი, ის კაცი არ ხარ-თქო?“ — ისევ გაეცინა №0578-ს, მაგრამ მაყურებელი უკვე სხვა რამეს ფიქრობდა.

„რა ვქნათ, ეს როგორ გავწეწოთ?!“ — ჰკითხა №0578-ს.

„არ ჩაერიო ჯერ. ისეთ „ზმანზე“ იყო, სხვები შეაწუხებენ. ვიღაცას სპორტული მოეწონება, ვიღაცას ბოტასი და ნახავ, რა დღეში ჩააგდებენ. მერე შენთან მოვა, მიშველეო და მანდ იხმარე, რა“, — ურჩია №0578-მა და მაყურებელიც თავის ქნევით დაეთანხმა.

ანზორას პატიმრებთან პრობლემა მეორე დღესვე შეექმნა. ერთმა ახალგაზრდა პატიმარმა უთხრა, სპორტული მათხოვეო და ისიც აყვირდა: „რა გათხოვო? შენი არ უნდა გქონდეს? მერე, შენს სუნიან ტანზე რომ ჩაიცვამ ამას, გასარეცხი იქნება და მე სად ვრეცხო?!“

ახალგაზრდა პატიმარი გაფითრდა, დასარტყმელად გაიწია, მაგრამ №0578-მა თვალით ანიშნა, გაჩერდიო.

„ბატონო ანზორ, აპატიეთ ბავშვებს, არ იციან, უფროსებს როგორ მოექცნენ. მით უმეტეს, თქვენ არ გიცნობენ. ხომ იცით, გამოუცდელები არიან, წვრილმან დანაშაულზე სხედან, ზოგმა ის მოიპარა, ზოგმა ეს... რამე ხომ არ გნებავთ?!“ — უთხრა №0578-მა ანზორს.

იმანაც, აქაოდა მიცნესო, ამაყად გადახედა პატიმრებს, მერე №0578-ს მიუბრუნდა და ქედმაღლურად უპასუხა: „არაფერი მინდა, არავინ შემაწუხოს უბრალოდ. არ მაქვს მე ამათი ნერვები. ამათ რომ მოიპარეს, იმდენს ნახევარ დღეში ვხარჯავდი საჭმელში. კაი ბიჭი ჩანხარ შენ, აჰა, სიგარეტს გაჩუქებ და... რომელ კამერაში ხარ, რამე რომ დამჭირდეს?!“

№0578-მა სიგარეტი არ გამოართვა, სხვას ვეწევიო, კამერის ნომერი უთხრა და საკნიდან უცნაური ღიმილით გავიდა.

„ახლა მომისმინე — მაგ ანზორას მე ავაგდებ თავად და მერე თქვენ შეჭამთ. მაგ ნაბიჭვარმა პატარა ბავშვივით სიგარეტი მომცა, როცა დამჭირდები, მოგნახავო... „გამაშნირა“, რა... ოხ, მე მაგის...“ — №0578-ის გაბრაზება მაყურებელმაც კი პირველად ნახა და თანასაკნელებს გადაულაპარაკა: „დაერხა ანზორას“!

მეორე დღეს №0578 თავის კამერაში იჯდა, როცა კარი ერთ-ერთმა პატიმარმა შემოაღო და... ანზორა გეძახისო. №0578 მშვიდად ადგა და გზად მიმავალ პატიმარს ჰკითხა, რატომ გამოეგზავნეო...

„შენ რომ გეძახდა, მაგიტომ, თორემ ისე არ გამოვეგზავნებოდი“, — დაიმორცხვა პატიმარმა.

№0578 კამერაში შევიდა, ბიჭებს მიესალმა და ანზორას ნარზე ჩამოჯდა.

„თეთრეული მაქვს გასარეცხი, ვერ მოვასწარი ციხეზე და იპოვე ვინმე, ვინც გარეცხავს. ორი „პაჩკა“ სიგარეტი ხომ ეყოფა? აგერ, ეს ორი „პაჩკა“ იმათთვის. შენ მითხარი, რას ეწევი და ერთ „პაჩკას“ შენც გიყიდი“, — ჩაარაკრაკა ანზორამ და ორი კოლოფი სიგარეტი №0578-ს კალთაში ჩაუყარა.

№0578 გაფითრდა, იმ პატიმარს, რომელმაც საკანში მიაკითხა, თვალით ანიშნა, კართან დადექიო და თავად ფეხზე წამოდგა. ანზორა ამ ყველაფერს მშვიდად უყურებდა, კარაქიან პურზე თაფლს ასხამდა და თან №0578-ს გაოცებით უყურებდა, აქამდე რატომ არ მიდისო. როგორც კი კარი მოხურეს, №0578-მა ორი ნაბიჯით უკან დაიხია, მერე მარცხენა ფეხი სწრაფად გადმოდგა წინ, მარჯვენა კი მოიქნია და ანზორას თავში, ყურის მხრიდან მოარტყა. მას კარაქიანი პური და თაფლის ბოთლი ხელიდან გაუვარდა და იატაკზე გაგორდა.

„შე ნაბოზვარო, თავი სად გგონია? ძველი დრო რომ იყოს, შენნაირებს ხელში ცოცხი და პოლისჯოხი უნდა ეჭიროს კარაქის და თაფლის ნაცვლად. ჩემს კამერაში გადაგიყვან და სანამ უფლებას არ მოგცემ, ლაპარაკს აგიკრძალავ შე ბოზო“, — №0578 ანზორას უმოწყალოდ სცემდა და ისიც დაჭრილი გოჭივით ჭყვიტინებდა.

ყველასთვის მოულოდნელად, საკნის კარი გაიღო. არადა, როცა კართან კაი ბიჭი ყარაულობდა და იცოდა, რომ შიგნით ვიღაცას ლეწავდნენ, თავი უნდა შეეკლა და ოფიცრები არ შეეშვა, რადგან დიდი შანსი იყო, მოჩხუბრებისთვის სროკი დაემატებინათ. ამიტომ, გაღებული კარისკენ №0578-მაც გაოცებით გაიხედა და... მაყურებლები დაინახა.

„რა ხდება აქ? რინგია თუ ზონა, ბლიად?!“ — იღრიალა მაყურებელმა, მაგრამ №0578 მიხვდა, ამას უფრო ანზორასთვის აკეთებდა. ნაცემი წამოაყენეს, სახეზე სისხლი მობანეს, ჩალურჯებულ თვალზე კბილის პასტა გადაუსვეს, მალე გაიწოვს სისხლჩაქცევასო და მაყურებლების კამერაში ჩაიყვანეს.

„ეს ვინ ყოფილა, კაცო? სიგარეტის ყიდვას ვაპირებდი და ახლა ასანთსაც აღარ ვუყიდი. ვინ არის ეს, ა?!“ — თქვა ანზორამ.

მაყურებელმა დაამშვიდა, მერე კი, როცა ანზორა ისევ გათამამდა, შეაპარა — „სიგარეტი კი არა, ჩვენს ერთ ახლობელს შვილი ჰყავს საოპერაციო, 12 წლის ბიჭი. ჩვენ არაფერი გვინდა, ერთი 3-4 ათასი მიუტანონ შენებმა იმას და სიგარეტს ჩვენ გიყიდით ყოველდღე...“

„რა 3-4 ათასი? თქვენ ხომ არ გადაირიეთ, ანზორა ვარ მე... კაპიკს არ მოგცემთ თქვე ნაძირლებო“, — იღრიალა ანზორამ და მეტი აღარ დასცალდა, რამდენიმე კაცმა უმოწყალოდ დაუწყო ცემა.

მეორე დღეს ანზორა სხვა ზონაზე წაიყვანეს, მაყურებელი — კარცერში.

„რაო? არ მოიწველა?!“ — ღიმილით უთხრა ოფიცერმა მაყურებელს, რომელიც კარცერისთვის ემზადებოდა.

„შენი შვილის ოპერაციის ფულს „ვჩალიჩობდით“, იდიოტო“, — შეუღრინა მაყურებელმა.

ოფიცერმა მაყურებელს ეჭვით შეხედა, მერე №0578-ისკენ გაიხედა და როცა იმანაც უხმოდ დაუქნია თავი, სიმწრით თქვა: „მე თქვენი დამჭერის დედა ვატირე, რა...“

ვერსიანიუსი

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1983 წელს დაბადებული გიორგი კ. თბილისში, გლდანის დასახლებაში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, გიორგი კ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის არარეგისტრირებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 1 მჭიდითა და 4 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

შსს-ს სასაზღვრო პოლიციამ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით 11 პირი დააკავა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს და სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მეორე სამმართველოს (ახალციხე) №2 სასაზღვრო სექტორის (ვალე) დასაცავ მონაკვეთზე ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით 11 პირი დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

შს მინისტრი თბილისის 55-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა

გიორგი მღებრიშვილმა შსს-ს მომსახურების სააგენტოში, თბილისის 55-ე საჯარო სკოლის უფროსკლასელებს, მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამის ფარგლებში უმასპინძლა. შს მინისტრმა სტუმრებს სააგენტოს ინფრასტრუქტურა დაათვალიერებინა და არსებული სერვისები გააცნო. გიორგი მღებრიშვილი მოსწავლეებს მართლწესრიგისა და დანაშაულის პრევენციის საკითხებზეც ესაუბრა და საგზაო უსაფრთხოების შესახებ შს სამინისტროს ახალი პროგრამა გააცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ ახალი ეტაპი მიმდინარე წლის ნოემბრიდან დაიწყო.

პროექტის მიზანია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. პროგრამაში ჩართულია როგორც თბილისის, ისე რეგიონების საჯარო და კერძო სკოლები.

პროექტის ფარგლებში, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები სკოლებში სალექციო ტიპის სემინარებს ატარებენ. ასევე ეწყობა გასვლითი, საექსკურსიო-პრაქტიკული ვიზიტები შს სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფში.

„ვერსიანიუსი“

წამლები განვადებით — ახალი საკრედიტო მახე მოქალაქეებისთვის

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

დევალვირებული ლარი, გაძვირებული პროდუქტი და მედიკამენტები, მძიმე სოციალური ფონი... საქართველო მეოთხე უკეთეს წელს მხოლოდ უკეთესი მომავლის იმედით შესცქერის. ოპოზიცია ხელისუფლების უნიათობაზე აპელირებს, ხელისუფლება კი ნაციონალების ცხრაწლიანი მმართველობისას დაშვებული შეცდომების დავიწყების საშუალებას არ გვაძლევს. არადა, სოციალური ფონი დღითიდღე მძიმდება, ხალხს ელემენტარული წამლის შესაძენი ფული არ აქვს, რასაც „ჯიპისის“ სააფთიაქო ქსელის ნოვაციაც მოწმობს — რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ მომხმარებელი მედიკამენტების, ჰიგიენის საშუალებებისა და „ჯიპისიში“ არსებული ყველა პროდუქტის განვადებით შეძენას შეძლებს. ერთი შეხედვით, ამაში ცუდი არაფერია. რაც უნდა იყოს, ხალხისთვის სააფთიაქო პროდუქცია ხელმისაწვდომი ხდება, მაგრამ ამ პროექტის პატარ-პატარა ნაღმები ნაკლებად იძლევა სიმშვიდის საფუძველს.

გიგი წერეთელი: „გასაგებია ფარმაცევტული კომპანიის მიდგომა, მაგრამ ეს მოსახლეობას ძვირი დაუჯდება“

„არის შემთხვევები, როცა ადამიანებს დიდი ჩეკი აქვთ და ვერ ახერხებენ მთლიანი თანხის გადახდას... ასეთი ყოველდღიურობიდან გამომდინარე გაჩნდა ეს იდეაც. ჩავატარეთ კვლევები და საკმაოდ პოზიტიური გამოხმაურებაც მივიღეთ. თავიდან, ორ რეგიონში იყო ჩაშვებული სატესტო რეჟიმში და მას შემდეგ, რაც ყველა ნიუანსი გავითვალისწინეთ, ჩავუშვით საქართველოს მასშტაბით“, — აცხადებს ვერსიასთან „ჯიპისის“ პიარმენეჯერი **თეა ჯავახიშვილი**, რომელიც განმარტავს, რომ სააფთიაქო განვადების შემთხვევაში, მომხმარებელს ბანკის წარმომადგენელთან არანაირი შეხება არ ექნება — დამატებითი ბარიერები აღარ შევქმენით. პროგრამა ჩვენმა თანამშრომლებმა შეისწავლეს და ხალხს მათთან მოუწევს ურთიერთობაო. თუმცა სამაგიეროდ, ამ შემთხვევაში ბანკი ისევე იჭრება მომხმარებლის ცხოვრებაში, როგორც სხვა ნებისმიერი განვადებისას — დაუმტკიცდება თუ არა განვადება ადამიანს, ამას სწორედ ბანკი წყვეტს, ანგარიშსწორებაც ბანკთან ხდება და თანხის არ ან ვერგადახდის შემთხვევაშიც, ბანკი იღებს საჭირო ზომებს. **„ამ საკითხებში „ჯიპისი“ ვერ ჩაერევა... ერთია მხოლოდ — ეს რომ არ დამსგავსებოდა სხვა ტიპის განვადებებს, კომპანიამ საკუთარ თავზე აიღო ბანკის მომსახურების პროცენტის დაფარვა, ანუ მომხმარებელი აბსოლუტურად უპროცენტო განვადებას იღებს — რა ღირებულების წამლებსაც აიღებს, სწორედ ეს თანხა გადაუნაწილდება 3-დან 6 თვემდე“.**

უდავოდ გულუხვი ნაბიჯია კომპანიის მხრიდან, მაგრამ საკითხავი ისაა, რატომ მიდიან ამხელა „მსხვერპლზე“ მომხმარებლის ინტერესების დაცვის სახელით?

„კომპანია ზარალზე ნამდვილად არ წავა, უბრალოდ მოგების პროცენტს იმცირებს და ეს ლოიალობა მარკეტინგულად უდავოდ ღირს მომხმარებლის მოსაზიდად“, — აცხადებს „ჯიპისის“ პიარმენეჯერი.

სხვა საქმეა, რეალურად რამდენად ლოიალურია კომპანია მაშინ, როდესაც განვადების შემთხვევაში არანაირი ფასდაკლება არ მოქმედებს და სხვათა შორის, ამ დროს მომხმარებელს ბარათზეც არ ერიცხება დაგროვებითი ქულები; ან რა მოგება რჩება ასეთი, რომ თანახმაა, თითოეული ადამიანის მაგივრად ბანკს მომსახურების პროცენტი გადაუხადოს, რომელიც ხშირად არც ისე მწირია და ეს ჩვენს მოსახლეობას საკუთარ ტყავზე აქვს გამოცდილი. ამ ყველაფრიდან ერთადერთი ლოგიკური დასკვნა არსებობს — მედიკამენტების ფასები ისეა გაზრდილი, ხალხი ვეღარ ახერხებს შეძენას, პენსიონერები, ქრონიკული ავადმყოფები... ისინი შთამბეჭდავ თანხას და ხშირად სრული თვის შემოსავალს ტოვებენ აფთიაქებში და საარსებოდ თეთრიც აღარ რჩებათ; თუმცა თეა ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ჯიპისის“ პროდუქციის განვადებით გაცემის გადაწყვეტილება ერთი თუ ორი თვის წინ არ მიუღია და არ არის განპირობებული მედიკამენტების გაძვირებით: **„ფასებმა ნამდვილად მოიმატა, მაგრამ ეს პროექტი არ დაწყებულა ერთი-ორი თვის წინ... წელიწადზე მეტია ვმუშაობთ და ესაა დამატებითი შეთავაზება მომხმარებლისთვის, ახალი პროექტი, რომელიც წინ გვწევს კონკურენტებთან ბრძოლაში და რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ადამიანებს, შეძლონ იმ მედიკამენტების შეძენა, რის ყიდვასაც დიდი ჩეკის გამო ვერ ახერხებდნენ. ჩვენი დევიზიც ხომ ესაა — „ნუ გადაავადებ მკურნალობას, გადაავადე გადახდა“.**

ასეთ დროს, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა კომპანიას შიდაგანვადება გაეკეთებინა და მოსახლეობა, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ფენა საბანკო ხელშეკრულებებით არ დაეკაბალებინათ, მაგრამ ამაზე კომპანიას ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქვს: **„ძალიან რთულია ამ სექტორში შესვლა... გამოდის, რომ ბანკი ხდები... შიდაგანვადება დიდი ვალდებულებაა, რომელსაც კომპანია ვერ აიღებდა საკუთარ თავზე“.**

არავის დადანაშაულებას ვაპირებთ, ყველა ისე ცდილობს ბიზნესის გაფართოებას, როგორც შეუძლია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საბანკო ვალდებულებებით ხელ-ფეხშეკრულნი ახლა უკვე სოციალურად დაუცველი ადამიანები აღმოჩნდებიან — შევიძენთ თუ არა რომელიმე პრეპარატს, ეს ბანკის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და შესაბამისად ჩვენი სიცოცხლეც ალავერდივით, მათ ხელში გადადის, თუმცა გარდა ამისა, თანხის ვერგადახდის შემთხვევაში, „სიაში გაშავებიდან“ დაწყებული, სხვა სანქციებით დასრულებული, ბანკის ხელში ყველა ბერკეტია და ურჩი გადამხდელების შემთხვევაში რაც ხდება, ეს სამწუხაროდ არაერთმა მოქალაქემ მწარედაც იწვნია.

საფრთხეს ხედავს ამ ნაბიჯში საპარლამენტო უმცირესობის წევრი **გიგი წერეთელიც:**

— ვფიქრობ, მედიკამენტების განვადებით გაცემა კიდევ ერთხელ მიუთითებს კრიზისულ ვითარებასა და სიღარიბის დონის მატებაზე. გაძვირებული მედიკამენტები ადამიანებისთვის არ არის ხელმისაწვდომი, ხალხს შემოსავალი შეუმცირდა... გასაგებია ფარმაცევტული კომპანიის მიდგომა, ის ყიდის პროდუქტს, ცდილობს, ხელმისაწვდომობა გაზარდოს, მაგრამ ეს ხდება კრედიტის საშუალებით და საბოლოოდ, ეს იქნება გაცილებით ძვირი მოსახლეობისთვის, ბევრი ადამიანი აღმოჩნდება საკრედიტო მახეში, რაც ჩვენს ხალხს ისედაც არ აკლია. მოსახლეობა კრედიტით იღებს სურსათსაც, მცირე მარკეტებში, უბნის მაღაზიებში, აღარაფერს ვამბობ სოფლებზე, პროდუქტს ნისიად იღებენ და ეს კიდევ შეიძლება ასატანი იყოს, რადგან არ ითვალისწინებს პროცენტების დამატებას.

ფაქტია, მედიკამენტების ტვირთი დიდია ჯანდაცვაში და სწორედ ამიტომ ვლაპარაკობთ პენსიის მომატებაზე თუნდაც 50 ლარით. ამის რესურსს ბიუჯეტში ვხედავთ, თუკი შემცირდება ფუფუნების ხარჯები, გაბერილი შტატები და პრემიები. ეს თანხები 450 მილიონს გასცდა და უნდა მივმართოთ ამ ადამიანების დასახმარებლად.

— ბატონო გიგი, ისე საუბრობთ, თითქოს ნაციონალების დროს მედიკამენტები ძვირი არ იყო და არც მონოპოლიები არსებობდა ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე...

— სპეციფიკური საკითხია თავად მონოპოლიის განსაზღვრება — ერთი მოთამამშე არ ყოფილა ბაზარზე არც ჩვენ დროს და არც ახლაა. ეს არ არის კლასიკური მონოპოლია, მაგრამ რამდენიმე მსხვილ კომპანიას ყოველთვის შეუძლია ბაზარზე ფასების რეგულირება. სწორედ ამიტომ მივიღეთ კანონი, რომელმაც გახსნა ბაზარი და მნიშვნელოვნად შეამცირა მონოპოლისტური მდგომარეობა. სწორედ კონკურენტუნარიანი გარემო არეგულირებს ფასებს და რაც მეტი ხარისხიანი პროდუქცია შემოვა სხვადასხვა კომპანიის მიერ, მით მეტი იქნება ალბათობა, რომ ფასები დაიკლებს. გვესმოდა წინა ხელისუფლების კრიტიკა, თითქოს მონოპოლიების გამო ძვირდებოდა მედიკამენტები, თუმცა ვერ ვნახეთ კონკრეტული ფაქტები და თუ რაიმე გაკეთდა ამ სფეროში ბაზრის გაფართოებისა თუ კონკურენციის გაჩენისთვის, სწორედ ნაციონალების დროს. ჩვენ მივიღეთ მტკივნეული კანონი მათთვის, ვისაც ბევრი ექსკლუზიური უფლება და ფასების დადგენის საშუალება ჰქონდა...

— შედეგი თუ ჰქონდა ამ კანონს?

— დიდი ეფექტი, როცა მსოფლიოში ძვირდება მედიკამენტები და დოლარის კურსი მყარდება, ვერ იქნება... დღეს კი ხელისუფლება ამაზე არ ლაპარაკობს, თითქოს სამი წლის წინ ეს დროშა არ ეჭირათ და ჩვენ არ გვაკრიტიკებდნენ. არადა, ჩვენ პერიოდში იყო შეღავათები მედიკამენტებზე, ორასლარიანი პაკეტი და 50%-იან ფასდაკლებასაც ითვალისწინებდა. საყოველთაო ჯანდაცვა კი არ ითვალისწინებს მედიკამენტებს. ამიტომ ხელისუფლებას ვთავაზობთ, მანამ ბაზარი დაარეგულირებს ამ ყველაფერს, ხალხს დავეხმაროთ. უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა აისახოს საპენსიო თუ სხვა სოციალური გასაცემლების ზრდაზე, ასევე საყოველთაო პროგრამაში მედიკამენტების პაკეტი უნდა გაჩნდეს პენსიონერების, სოციალურად დაუცველებისა და ქრონიკული ავადმყოფებისთვის.

— ფიქრობთ, ესაა გამოსავალი? სანამ ხელისუფლება და ოპოზიცია პინგ-პონგის რეჟიმში, ერთმანეთზე შეცდომების გადაბრალებით არ იღლებით, ის 50 ლარი, რის მომატებასაც პენსიონერებისთვის ითხოვთ, ამინდს შექმნის და ცხოვრება მშვენიერი გახდება?

— მთავარი საკითხი მაინც უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ წლები მოანდომა ოპოზიციასთან ბრძოლას და იმის მაგივრად, რომ ეზრუნათ მეტ ინვესტიციაზე, მეტ სამუშაო ადგილზე, ქვეყნის შიგნით სულ სხვა სურათი გვაქვს — ვერ აწვდიან ადამიანებს პურს და ცდილობენ, მიაწოდონ სანახაობა — დაპატიმრებები, მოწოდებები, სიძულვილის ენა.... ეს არასწორი პოლიტიკაა. თუ ქვეყანას სწორი ეკონომიკა ექნება და გაიზრდება სამუშაო ადგილები, ყველას შეუმსუბუქდება ყოფა. ბევრი ადამიანი ბედნიერი იქნებოდა, ჰქონდეს თუნდაც მცირე ხელფასი და არ იყოს დამოკიდებული სოციალურ დახმარებაზე. ჩვენი პოზიცია მიმართული იყო იქითკენ, რომ ყოფილიყო სწრაფი ეკონომიკური ზრდა და მეტი აქცენტი გაგვეკეთებინა დაუცველ ფენებზე, მაგრამ ხელისუფლებამ აირჩია მკვეთრად მემარცხენე პოლიტიკა, როცა სახელმწიფოს როლი გაზარდა ყველაფერში, მათ შორის ჯანდაცვაში. ამას შეიძლება ჰქონდეს რაღაც დადებითი ეფექტი, მაგრამ ასეთი ეკონომიკის პირობებში ბიუჯეტი ვერ უძლებს... საჭიროა, ეკონომიკური განვითარება, სწორი პოლიტიკა, მეტი თანხმობა პოლიტიკურ ძალებს შორის, მნიშვნელოვან საკითხებზე ერთობლივი მუშაობა, რის საშუალებასაც ხელისუფლება ოპოზიციას არ აძლევს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, **დავით სერგეენკო** აცხადებს, რომ არ იცის ვის, საიდან დაებადა იდეა მედიკამენტების განვადების თაობაზე: **„შევეცდებით, მოსახლეობას პირველადი მოხმარების მედიკამენტებზე განვადება არ დასჭირდეს. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, გაიზარდოს მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ამბულატორიულ მედიკამენტებზე. გვაქვს სამოქმედო გეგმა. ფაქტობრივად, ბოლო დღეების ტესტირებას გავდივართ ამაზე და პროექტს, სავარაუდოდ, მომავალი თვიდან დავიწყებთ. ვფიქრობ, მოსახლეობას არ ექნება საჭიროება მედიკამენტები განვადებით მივიღოთ. ადრე, პენსიების ხარჯზე სესხის აღებამ დიდი ტვირთი დააკისრა პენსიონერებს. ვეცდებით, მოსახლეობას მდგომარეობა შევუმსუბუქოთ და არ დასჭირდეთ განვადება პირველადი მოხმარების მედიკამენტებზე“.**

გურულები პოლიციის გაარაჯურებულ რეიდებს აპროტესტებენ

რატომ ჩხრეკენ რეგიონში ყველა მანქანას

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

გურიის რეგიონის ყველა შესასვლელ- გასასვლელში პოლიციამ რეიდები დაიწყო. ყველა გამვლელ ავტომობილს აჩერებენ და ამოწმებენ, მძღოლებს კი არ განუმარტავენ, რას ემსახურება მანქანების ჩხრეკა. რეიდებში ჩართული იყვნენ საპატრულო და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები.

რეიდებმა საზოგადოების ნაწილი აღაშფოთა. როგორც ადგილობრივები ყვებიან, აღნიშნული ღონისძიების დროს სისტემატურად ხდებოდა როგორც ქვეითად მოსიარულე მოქალაქეთა, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაჩერება და ჩხრეკა, მოქალაქეთა პირადი დოკუმენტაციის შემოწმება.

გავრცელებული ინფორმაციით ზოგ შემთხვევაში პოლიციის თანამშრომლები იწერდნენ მოქალაქეთა შესახებ ინფორმაციას (სახელი, გვარი, მამის სახელი, მისამართი, ტელეფონის ნომერი) და თითოეულ შემოწმებულ პიროვნებას მობილური ტელეფონით უღებდნენ სურათებს. ადგილობრივები აცხადებენ, რომ აღნიშნული ღონისძიებები, რიგ შემთხვევაში, უკანონო ხასიათს ატარებს და არღვევს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებას.

„ბათუმიდან მოვდივარ, არ ვიცი, რა ხდება და რა უნდათ, გაგვაჩერეს და გაჩხრიკეს საბარგული“; „რატომ გვაჩერებენ, არ ვიცით, ქორწილიდან მოვდივარ და ოჯახის წევრები მიზის მანქანაში“; „ძალიან ცუდი ფაქტია, როცა შეიარაღებული პოლიცია გაჩერებს ქუჩაში და ჩხრეკს მანქანას, ხომ უნდა ვიცოდეთ, რა ხდება. რა უბედურებაა? ოჯახის წევრები დაიზაფრნენ“, — ასეთია გაღიზიანებული ადგილობრივების პროტესტი.

რეიდში ჩოხატაური-ოზურგეთის ცენტრალურ გზაზე ჟურნალისტებიც მოყვნენ. ერთ-ერთმა პოლიციელმა მანქანის საბარგული გახსნა და დაათვალიერა. კითხვაზე, რას უკავშირდება მგზავრთა ასეთი აქტიური შემოწმება მაშინ, როცა არანაირ დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ამგვარი პასუხი მიიღეს: „რა, არ შეიძლება გაგაჩეროთ? როდის გჩხრეკთ? ბრძანება გვაქვს, უფროსის ბრძანებას ვასრულებთ“.

როგორც შსს-ში განგვიცხადეს, მსგავსი კონტროლი დროდადრო ხორციელდება და ახლაც ასეთი შემთხვევაა. სამინისტროში არ აკონკრეტებენ, რამდენ ხანს გაგრძელდება საპოლიციო კონტროლი. უწყებაში განმარტავენ, რომ ეს გეგმური შემოწმებაა: **„ეს არის საპოლიციო რეიდები, რომლებიც რამდენიმე თვეში ერთხელ ტარდება. ამ შემოწმებას არც კონკრეტულ დანაშაულთან აქვს კავშირი და არც ტერორიზმის საფრთხესთან“.**



1. ბავშვის მოსანათლი საეკლესიო ჭურჭელი
2. ზოდიაქოს ნიშანი, იგივე ტყუპები
3. გადაჭარბებული თავმოყვარეობა
4. მანძილი პოლიგრაფიულ ასოებს შორის
5. მართკუთხედის გვერდების სიგრძეთა ჯამი
6. ქალაქი, სადაც ზევსის ქანდაკება იდგა
7. არზაყანის ცხენი „მთვარის მოტაცებაში“
8. ხელსაწყო ელექტრონულ პროცესებზე დაკვირვებისთვის
9. ერთი ხელობის ოსტატთა გაერთიანება
10. უსინათლოთა შრიფტის გამომგონებელი
11. უდიდესი სიზუსტე მათემატიკაში
12. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული
13. დიდი ბოთლი
14. თეატრის კოლექტივი
15. მდინარეზე გადასასვლელი ნაგებობა
16. ძველი ფრანგული ოქროს მონეტა
17. საინფორმაციო ნაგავი ინტერნეტში
18. ფასიანი ქაღალდების გამოშვება
19. გაზაფხულის პირველი თვე
20. „ოქროს კენკრად“ წოდებული მცენარე
21. ადამიანის აგებულების შემსწავლელი მეცნიერება
22. ორქიდეას ქართული სახელწოდება
23. შუქური გმოსახულების მიმღები ზედაპირი
24. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
25. ჰოლივუდის მსახიობი
26. „ყველაფრის მკურნალი“
27. მამაკაცის იტალიური სახელი
28. სპილბერგის უცხოპლანეტელი
29. ფუფალას ვირტუალური სატრფო
30. „სამყაროს სახურავი“
31. ხიზილალა-რუსულად
32. მთა თბილისთან
33. სოფელი სენაკის რაიონში
34. კრივის მოედანი
35. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
36. დათა თუთაშხიას „სამოქალაქო“ ფსევდონიმი
37. კრიზში: გვერდიდან დარტყმა მოღუნ. ხელით
38. აღმაშენებლის ასული
39. ერთერთი მუმკეტერი
40. ბეისბოლის მსგავსი თამაში რუმინეთში
41. მუსიკალური გართობის ფორმა
42. ინდოეთის დედაქალაქი
43. ჩქარ-ტემპიანი პატარა მუსიკალური ნაწარმოები
44. გეიშას მოწაფე
45. დიდი გომბეშო
46. წმინდა ნინოს სამშობლო
47. სარხვლეტი იარაღი ფარიკაობაში
48. ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში
49. იუპიტერის მეუღლე
50. სპორტში აკრძალული ნივთიერება
51. რემბრანდტის პირველი მეუღლე
52. ერთ-ერთი უძვ. ქართული წარმართული ღვთაება
53. პოპის დედოფლად წოდებული ამერიკელი მომღერალი
54. ფასიანი ქაღალდის სახეობა
55. ხმელთაშუა ზღვის ყურე
56. ასტრონომიის მფარველი მუზა
57. საგანთა ჩამონათვალი
58. მსუბუქი შესტომა საბალეტო ცეკვებში
59. უცხიმო ხორცი
60. ძვირფასი სარეწაო თევზი
61. გრძელყელიანი გოგრა
62. რაიმე ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი
63. ქრისტეს გამყიდველი
64. დედისადმი მიმართვა გურიაში
65. შლამის თევზი
66. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
67. ზღაპრული ცხენი
68. ინდური კობრა
69. ფეხბურთელი ... შირერი
70. შინაური ცხოველი
71. პოპულარული ცეკვა კაბარეში
72. ესპერანტოს ვარიანტი
73. რუსული ჯიპი
74. მტაცებელი ცხოველი
75. კაპიტან ბლადის ლიტერატურული „მამა“
76. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი და „ბარსელონას“ თავდამსხმელი
77. წილი საერთო საქმეში
78. იაკობ გოგებაშვილის მშობლიური სოფელი
79. ქართული ანბანის I ასო
80. ბაჰრეინის დედაქალაქი
81. ილია ჭავჭავაძის „კაცია-...?!“
82. რუსული ესტრადის პრიმადონა
83. მუსლიმანთა წმინდა ტაძარი მექაში
84. დიალოგზე აწყობილი დრამატული ნაწარმოები

მტრედებს სიმსივნის ამოცნობა ასწავლეს

აშშ-ში მტრედები გამოზარდეს, რომელთაც სარძევე ჯირკვლის კიბოს ამოცნობა შეუძლიათ. ფრინველები კალიფორნიის უნივერსიტეტში მოამზდეს, მათ სარძევე ჯირკვლის ქსოვილების გადიდებულ გამოსახულებას აჩვენებდნენ და თუ სწორად მიანიშნებდნენ სიმსივნეზე ან ჯანმრთელ უჯრედებზე, საკვებით ასაჩუქრებდნენ. მტრედებს დღეში ერთსაათიანი 15 სავარჯიშო სეანსი ჩაუტარდათ და შედეგად სწორი დიაგნოზის დასმა 85%-ით ისწავლეს. მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მტრედები ამჩნევენ კალციუმის მცირე ნადებსც კი, რომელიც სიმსივნეს უკავშირდება. მამოგრამაზე ისინი თეთრ ლაქად ჩანს, თუმცა მათი მიხედვით, გამოცდილ ონკოლოგებსაც უჭირთ ხოლმე სწორი დიაგნოზის დასმა, რომ აღარაფერი ვთქვათ ფრინველებზე, მაგრამ ჩანს, წახალისების სისტემა ზრდის მტრედების მიერ გამოსახულების შეფასების სიზუსტეს. რასაკვირველია, ამ ჭკვიან ფრინველებს საავადმყოფოს ბალანსზე არავინ აიყვანს, თუმცა სპეციალისტები აპირებენ, მიღებული მონაცემები გამოსახულების მართვის პროგრამის შექმნისთვის გამოიყენონ. ასეთი პროგრამა კი ექიმებს მუშაობას გაცილებით გაუადვილებს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

8			4	2				9
	7	4		1			5	
		1	9					
6			2		9			
	1			5			4	
			3		1			5
					4	5		
	3			6		4	7	
1				9	8			6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	1			8		2		
5	3				7		8	
					2			4
		9		7		6	3	
				6				
	4	3		1		8		
4			7					
	6		4				9	1
		7		9			4	

ᲠᲗᲣᲚᲘ

7					5	1		
		9	3	8				
8		5					2	
1	5	8		3	4			
				2				
			9	6		7	5	1
	3					5		8
				5	3	4		
		1	8					2

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

						8	6	
				4	1		2	
				8				7
7	1			9		5		
3			6		4			2
		9		7			4	3
6				2				
	8		7	6				
	2	3						

სელფს სარკე გადაიღებს

ამერიკულმა კომპანიამ Smart Ltd ახალი სარკე შექმნა, რომელსაც შეუძლია სელფი მობილური ტელეფონის ან ფოტოაპარატის გამოყენების გარეშე გადაგიღოთ. სარკეს შეუძლია პროფესიული ფოტოების ან ვიდეოს გადაღება, რომელსაც მერე სოციალურ ქსელში ან „იუთუბიზე“ ატვირთავთ. ამ მოწყობილობის მართვა სენსორული პანელის მეშვეობით ხდება. კადრებს ფარული კამერა იღებს, რომელიც სარკის ზედაპირზე მდებრეობს. ახალი გაჯეტი აღჭურვილია მოძრაობის გადამცემებით და შეუძლია იმუშაოს სახლში მიმდინარე მოვლენების დაკვირვების რეჟიმშიც. ამავდრულად, ფოტოებს ან ვიდეოს გაუგზავნის მფლობელს სმარტფონზე. გარდა ამისა, ჩამონტაჟებული დინამიკების მეშვეობით, სარკე მუსიკასაც მოგასმენინებთ. როგორც მედია იუწყება, სიახლე შესაძლოა, სელფი-ჯოხების კონკურენტად იქცეს. 68,5X119,3 სანტიმეტრის გაჯეტის ღირებულება 250 დოლარია, უფრო მცირე ზომის სელფი-სარკე კი 200 დოლარი ღირს. მისი შეკვეთა მწარმოებლის საიტზე უკვე შესაძლებელია.

საქონლის ცხიმი ბოტოქსის ნაცვლად

სილამაზის შესანარჩუნებლად სუსტი სქესის წარმომადგენლები ზოგჯერ მეტად „გაბედულ“ და მოულოდნელ ნაბიჯებს დგამენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამერიკელმა ჯანეტ ჰარდმა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ საკუთარი სახის კორექტირება სამედიცინო ჩარევის გარეშეც შეუძლია და ბოტოქსის ნაცვლად სახეზე საქონლის ცხიმის ინექციები გაიკეთა. ადგილობრივ საავადმყოფოს ჯანეტმა მაშინ მიაკითხა, როცა სახე ძალიან ასტკივდა. ექიმებმა ყველაფერი იღონეს, რომ მდგომარეობა გამოესწორებინათ, მაგრამ პაციენტის გადარჩენა ვერ მოხერხდა. ამ უბედური ამერიკელის გვამის გაკვეთისას მედიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ სიკვდილი მუცლის ღრუში ანთებამ და პერიტონიტმა გამოიწვია, რაც ბაქტერიული ინფექციით იყო პროვოცირებული. გაირკვა ისიც, რომ მისის ჰარდს სახეში რეგულარულად შეყავდა საქონლის ცხიმი... უბრალოდ, აცხელებდა მას და შპრიცით ტუჩებში იკეთებდა, რაც ალბათ, წარმოუდგენლად მტკივნეული იყო. არადა, ჯანეტს მანამდე რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია ჰქონია გაკეთებული და ჩანს, შედეგით უკმაყოფილო იყო.

სახლს ექსკრემენტებით ათბობენ

ესპანური სტარტაპის სპეციალისტებმა მსოფლიოში პირველი სახლი შეიმუშავეს, რომელიც მთლიანად საკუთარი ნარჩენების ხარჯზე თბება. ფირმა PlanetEnerg-ის დამაარსებელი მეგან სეპი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სრული თვითუზრუნველყოფის სისტემების გამოყენება არა მხოლოდ რეალურია, არამედ სასარგებლოც. სეპის მიერ აშენებული სახლი ესპანეთში, სოფელ ოსკოცში მდებარეობს. ის იმგვარადაა დაპროექტებული, რომ ყველა ნარჩენი, მათ შორის ადამიანის ექსკრემენტებიც ბიოგაზად გადამუშავდება. მიღებული ენერგომატარებლით კი მარაგდება გათბობისა და ცხელი წყლის სისტემები, ასევე ამ გაზზე მუშაობს სამზარულოს ქურაც. როგორც იდეის ავტორი ამბობს, მხოლოდ ადამიანის ექსკრემენტებით საკმარისი ენერგიის მიღება ვერ ხერხდება, მთელი სახლის ფუნქციონირება რომ შეძლოს. სეპის სისტემა გათვლილია იმაზე, რომ სახლის მფლობელს საკუთრებაში ოთხი ცხენი უნდა ჰყავდეს, ისინი ბევრ ბალახს ჭამენ და ნაკელიც ბევრი გროვდება, რაც ბიოგაზის წარმოებისთვის კარგია. აღსანიშნავია, რომ სახლი ეკოლოგიურად სუფთა მასალისგანაა აშენებული.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	5	6	4	3	2	1	8	7
4	8	7	1	9	6	5	3	2
3	1	2	8	7	5	9	6	4
2	7	3	5	1	4	8	9	6
8	9	5	3	6	7	4	2	1
6	4	1	2	8	9	7	5	3
1	6	4	9	2	8	3	7	5
7	3	9	6	5	1	2	4	8
5	2	8	7	4	3	6	1	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

5	7	8	6	4	3	9	2	1
6	9	4	7	2	1	8	3	5
2	3	1	5	9	8	7	6	4
8	2	7	4	3	5	1	9	6
3	6	9	2	1	7	5	4	8
4	1	5	9	8	6	3	7	2
1	8	6	3	7	4	2	5	9
9	5	3	1	6	2	4	8	7
7	4	2	8	5	9	6	1	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

8	5	7	6	3	4	2	1	9
2	1	4	5	9	8	3	7	6
6	3	9	2	1	7	5	4	8
4	2	3	1	8	6	9	5	7
7	9	8	4	5	2	1	6	3
5	6	1	9	7	3	8	2	4
3	8	5	7	4	1	6	9	2
9	4	2	3	6	5	7	8	1
1	7	6	8	2	9	4	3	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	9	3	2	1	5	8	7	6
1	8	6	9	4	7	5	3	2
5	2	7	3	6	8	4	1	9
3	1	2	6	5	4	9	8	7
7	6	8	1	9	2	3	5	4
9	4	5	8	7	3	2	6	1
2	3	9	7	8	6	1	4	5
8	7	4	5	2	1	6	9	3
6	5	1	4	3	9	7	2	8

მე-10 გვერდი: 1. ავჭალა; 2. ვადუცი; 3. აისბერგი; 4. ხორუმი; 5. ოჩხამური; 6. ულიანოვი; 7. „ოდისეა“; 8. ტლინკი; 9. კორომი; 10. ცხვირი; 11. ოფელია; 12. იტინომია; 13. ანაგა; 14. ანაგა; 15. ორლი; 16. ომონია; 17. აკინი; 18. იგლესიასი; 19. ტოფუ; 20. ერგი; 21. კუჭი; 22. ტრევი; 23. გონიო; 24. მუსიე; 25. კეიტ ბეკინსეილი; 26. ჭალიკონი; 27. ლაბა; 28. ჩატურანგა; 29. ონილი; 30. აივანი; 31. იღლია; 32. აბაი; 33. ეჯიბი; 34. „ტოიოტა“; 35. ბროილერი; 36. რაე; 37. ტარა; 38. აჩმა; 39. აის; 40. არესი; 41. კრაკატაუ; 42. ისტორია; 43. ვაიო; 44. ორბი; 45. რაი; 46. აბო; 47. მუსა; 48. სორორატი; 49. ებრაელი; 50. აბრა; 51. ეოსი; 52. ბობი; 53. ნექტარი; 54. აბა; 55. ბინომი; 56. პრაია; 57. რტო; 58. იოკო; 59. ბისტი; 60. ბადია; 61. რიბოკი; 62. ნობილე; 63. ნომი; 64. ქარვა; 65. პრადო; 66. დოკი; 67. ასო; 68. სკა; 69. ათრაქა; 70. ბის; 71. დიეგო; 72. როზგი; 73. პრიზმა; 74. სტეკი; 75. თია; 76. სკაიპი; 77. ხაო; 78. სი; 79. ილი; 80. პიკოლო; 81. მათემატიკა; 82. რვა; 83. პაპი; 84. ირისი; 85. თია; 86. მძახალი; 87. ძუა.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
�პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ – ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

უოლ-სტრიტის მგელი ფილარმონიაში

„ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი“ 28 ნოემბერს, ჯორდან ბელფორტის მასტერკლასზე გიწვევთ

რუსუდან ხავთასი

28 ნოემბერს თბილისის ფილარმონიაში დაგეგმილ სემინარს ლეგენდარული ჯორდან ბელფორტი გაუძღვება – უოლ-სტრიტის ყველაზე სწრაფად მზარდი საბროკერო კომპანიის, Stratton Oakmont-ის დამფუძნებელი, რომელიც მოგვიანებით თაღლითობისთვის გაასამართლეს. მისი ბიოგრაფია იმდენად დრამატულია, რომ 2013 წელს მარტინ სკორსეზემ იგი უკვდავყო ფილმში „უოლ-სტრიტის მგელი“. ლეონარდო დი კაპრიოს მიერ განსახიერებულ პერსონაჟთან შეხვედრა „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგის“ მეშვეობით გახდა შესაძლებელი. „ვერსია“ დაგეგმილი ღონისძიების შესახებ მასპინძელი კომპანიის დამფუძნებელსა და აღმასრულებელ დირექტორს, აიეტ კუკავას ესაუბრა.

— დღეს ჯორდან ბელფორტი მხოლოდ „უოლ-სტრიტის“ ფენომენი აღარაა. მარტინ სკორსეზეს მიერ ბელფორტის ავტობიოგრაფიულ წიგნზე დაფუძნებული ფილმის „უოლ-სტრიტის მგელის“ გადაღების შემდეგ იგი პოპკულტურის ერთ-ერთ საკულტო პერსონაჟად იქცა, შესაბამისად, მის მიმართ ინტერესს არა მხოლოდ ბიზნესისა და გაყიდვების სფეროდან უნდა ველოდეთ.

— ვისთვისაა ეს მასტერკლასი და რა არის ღონისძიების მიზანი?

— ეს მასტერკლასი ფართო საზოგადოებისათვისაა განკუთვნილი. ჯორდან ბელფორტმა უამრავი ადამიანის ცხოვრება შეცვალა. მას აქვს უნარი, ნებისმიერ ადამიანს წარმოუდგენელი მიზნების მიღწევის ძალა შესძინოს. ეს არის შესაძლებლობა, თანამედროვეობის ლეგენდისგან მიიღონ თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება, დაიმუხტონ და დროის უმოკლეს ვადაში გააკეთონ მნიშვნელოვანი ნახტომი წარმატებისკენ მიმავალ გზაზე.

ჩვენ საინვესტიციო კომპანია ვართ, ქვეყნის ეკონომიკის წინსვლისთვის უამრავი წარმატებული პროექტი და ინვესტიცია გვაქვს განხორციელებული. ჯორდან ბელფორტის მასტერკლასიც სწორედ ამ იდეის გაგრძელებაა. დაარსების დღიდან, კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ვცდილობთ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ საზოგადოების განვითარებაში. უოლ-სტრიტის ლეგენდის ფენომენალური ტექნიკისა და გამოცდილების გაზიარება კი ამის საუკეთესო საშუალებაა. ჩვენ ერთადერთი კომპანია ვართ საქართველოში, რომელიც აფინანსებს სტარტაპებს ყოველგვარი გირაოსა და გარანტიების გარეშე. მიუხედავად დიდი რისკისა, ვცდილობთ ახალგაზრდა, მოტივირებულ მეწარმეებს წარმატებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა მივცეთ. სწორედ მათთვის, ახალგაზრდა ინოვატორებისა და მიზანდასახული სტუდენტებისთვის, დამწყები თუ უკვე განვითარებული ბიზნესების ხელშეწყობისთვის ჩამოგვყავს თბილისში უოლ-სტრიტის ლეგენდა.

— 28 ნოემბერს სემინარი ფილარმონიაში გაიმართება, რაც ნიშნავს, რომ 2000 სტუმარზე მეტს ელით. შარშან, ბრაიან ტრეისის ვიზიტმა ანშლაგით ჩაიარა, თუმცა მისი მასტერკლასი თითქმის ათჯერ პატარა აუდიტორიაზე იყო გათვლილი. ჯორდან ბელფორტის მასტერკლასის დასწრებადობა საქართველოში გამართულ ბიზნესსემინარებს შორის უპრეცედენტოა. რა გიბიძგებთ იფიქროთ, რომ ქვეყნის ბაზარი მომწიფებულია ამ მასშტაბისთვის?

— მეათე წელია საქართველოს ბაზარზე ვმოღვაწეობთ და კარგად ვიცნობთ ბიზნესის მოთხოვნებს. ქართული ბიზნესსაზოგადოება საკმაოდ მომწიფებულია სიახლეებისა და განვითარებისთვის, თუმცა მათ სჭირდებათ ხელშეწყობა როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორის მხრიდან. ბრაიან ტრეისის მასტერკლასი შედარებით მცირე აუდიტორიაზე იყო გათვლილი, მაგრამ მისი შედეგები და მიღებული გამოცდილება ფასდაუდებელი გახლდათ დამსწრე საზოგადოებისთვის. აღნიშნული სემინარებით ვცდილობთ, შევცვალოთ ბიზნესისადმი დამოკიდებულება, დავამკვიდროთ დასავლური ხარისხის მაღალი სტანდარტები, მივცეთ შესაძლებლობა ბიზნესს, გაიზიარონ სპიკერების თავბრუდამხვევი წარმატება და გამოცდილება, სწორად დაგეგმონ საკუთარი მიზნები, განვითარდნენ და მიღებული ცოდნა პრაქტიკაში დანერგონ.

— ჯორდან ბელფორტის საგანმანათლებლო-მოტივაციური პროგრამა, Straight Line Persuasion, ერთ-ერთი ყველაზე მაღალმოთხოვნადია მსოფლიოში. ავტორის ლეგენდარულობის გარდა, ეს პროგრამა ღირსშესანიშნავი (წმინდად მეთოდური თვალსაზრისით) რითაა?

— Straight Line არის გაყიდვისა და დარწმუნების ტექნიკა, რომელიც ჯორდან ბელფორტმა შექმნა უოლ-სტრიტზე, დანერგა თავის ბიზნესში, რითაც უოლ-სტრიტის ისტორიაში ყველაზე სწრაფად მზარდ საბროკერო კომპანიას ჩაუყარა საფუძველი. შინაარსობრივად, ეს ტექნიკა, სტრუქტურირებულია გაყიდვის პროცესის, დიალოგის მართვის ელეგანტური, მარტივი მეთოდებით, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი გაყიდვის პროცესის მარტივად წარმოჩენა გახლავთ. ეს არის სისტემა, რომელიც ნებისმიერ ადამიანს აძლევს საშუალებას, აღნიშნული პროცესი ისე წარმართოს, როგორც ამას თავად ბელფორტი აკეთებდა.

ბელფორტის ტრენინგების მეშვეობით ათასობით ადამიანმა მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას, რაც ადასტურებს, რომ მას შეუძლია ნებისმიერ ინდივიდს, მიუხედავად ასაკის, რასის, სქესის, განათლების თუ სოციალური სტატუსისა, მიაღწევინოს ისეთ მიზნებს, რაზეც ისინი ვერც იოცნებებდნენ.

— ორიოდე თვის წინ, „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი“ სოციალური პასუხისმგებლობის კლუბს შეუერთდა. ზოგადად, რა აქტივობებით ცდილობთ, ხელი შეუწყოთ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ ცოდნის ამაღლებას და კონკრეტულად, ჯორდან ბელფორტის ღონისძიებისთვის თუ არსებობს რაიმე საშეღავათო პაკეტი, რომელიც, მაგალითად, სტუდენტებზე ან სხვა არაპრივილეგირებული, მაგრამ დაინტერესებული ჯგუფებისთვის იქნება გამიზნული?

— „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი“ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას მენეჯმენტის განუყოფელ ნაწილად განიხილავს, რომელსაც ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაშიც ვიყენებთ. შიდა პოლიტიკა ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემას, გენდერულ თანასწორობას, გარემოს დაცვას, გამჭვირვალობასა და პასუხისმგებლობას ემყარება. ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ახალგაზრდა თაობის ეთიკური ბიზნესის სტანდარტებით აღზრდაა. ამ მიზნის განსახორციელებლად უკვე წლებია, საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებთან ვთანამშრომლობთ.

თავდაპირველად გვსურდა, ღონისძიება უფასო ყოფილიყო ყველასთვის, როგორც „ალიანს ჯგუფის“ საჩუქარი ქართველ ბიზნესმენებს, თუმცა, ამ შემთხვევაში, ჩვენ ვერ მივიღებდით დარბაზში იმ ოპტიმალურ სეგმენტს, რომელსაც პირველ რიგში სჭირდება „უოლ-სტრიტის მგლის“ გამოცდილება, სწორედ ამიტომ დავაწესეთ ფასები კატეგორიების მიხედვით, რომლებიც, ჩვენი აზრით, ყველა ფენისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. 677 სტუდენტი დარბაზში მხოლოდ 29 დოლარად მოხვდება, ბიზნესის წარმომადგენლებისთვის განსხვავებული ფასები და პაკეტები მოქმედებს, ფასები საშუალოდ 99-სა და 199 დოლარს შორის მერყეობს. ჯორდან ბელფორტი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ტრენერია. თუ მისი მსოფლიო ტურის ბილეთების ფასებს გადახედავთ, დამეთანხმებით, რომ თბილისისთვის დაწესებული ფასები სიმბოლურია.

და ბოლოს, მინდა ბელფორტის ცნობილი ციტატით დავასრულო: **„წარმატებული ადამიანები 100%-ით დარწმუნებულები არიან, რომ ისინი თავად განაგებენ საკუთარ ბედისწერას. ისინი არ არიან გარემოებებისა და განგების ნაყოფი, არამედ ისინი ქმნიან გარემოებებს, ხოლო თუკი გარემოებები არახელსაყრელია, ისინი მათ ცვლიან“.**